ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 13 ივლისი 1998 №119 (654) ფასი 50 თეთრი


# ბრაზილია საფრანგეთი 0:3



REUTERS სენ დენიდან

## ფეხბურთს ვერავინ დაამარცხებს!

ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან



მუდამ ინტერესით ვკითხულობ „სარბიელში" გიო ახვლედიანის „სამ სვეტს". ჰოდა, ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციის შემდეგ გავიფიქრე — მოდი, დავუჯერებ ავტორს და, როგორც თავად წერს, ამ „სულელური" მესამე ადგილისთვის მატჩზე არ წავალ-მეთქი. თან გაზეთის მთავარი რედაქტორის დანაბარებსაც ხომ უნდა შესრულება — „ლიდოს" მოუნახულებლად არ დაბრუნდეო, რომ მითხრა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ექსპერტის კომენტარი

ვლადიმერ პანოვი
საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე



## ბრაზილია აიძულეს...

მორჩა. ფეხბურთის ერთთვიანი ზეიმი დასრულდა. დღეიდან ოთხი წლის ათვლას თავიდან ვიწყებთ. 2002 წლამდე მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს — საფრანგეთის ნაკრები.

გუშინ ბევრი ქომაგი აცრემლდებოდა, ბევრიც გაიხარებდა, მაგრამ ერთი რამ ნაღდია — ყველა ისიამოვნებდა და არა მარტო გუშინ. ერთი თვე სპორტის მოყვარულები ფეხბურთით ცხოვრობდნენ.

„სარბიელის" პირველი გვერდი კი თითქმის ყოველდღე საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანაშემწეს, ბატონ ვლადიმერ პანოვს ეთმობოდა იმდღევანდელი მატჩების ექსპრეს-კომენტარისთვის.

— მივულოცოთ ფრანგებს, ისინი ღირსეული ჩემპიონები არიან. ემე ჟაკეს მართლაც კარგი გუნდი ჰყავს, მიზანდასახული და საბრძოლოდ შემართული. მასპინძლებს ზოგ თამაშში გაუჭირდათ, საქმე პენალტებამდეც მიიყვანეს, მაგრამ ვაჟკაცური ჟინი გამოავლინეს, ბოლომდე თავგანწირულად ითამაშეს და დაუფასდათ კიდეც. ისინი სხვებზე მეტად იმსახურებდნენ ჩემპიონობას. ვერავინ იტყვის, უღირსები არიანო.

გუშინ კი საფრანგეთმა თამაშის აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჯაბნა საჩემპიონოდ შეგულებული ბრაზილია. გული მეთანაღრებოდა, ვფიქრობდი, მასპინძლებს ბლანის გარეშე გაუჭირდებათ-მეთქი, მაგრამ ლებეფმა ისე შეცვალა ფრანგთა დაცვის ლიდერი, რომ უბლანობა გუნდს არც დასტყობია. დესაიზე კი აღარაფერს ვამბობ, იგი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ფინალში ბრაზილიელთა შედარებით სუსტ თამაშს კი მხოლოდ ერთი ახსნა აქვს — ისინი ფრანგებმა აიძულეს, ჩემპიონობას გამომშვიდობებოდნენ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ვიყოთ სამართლიანები — ბრაზილია შესანიშნავი გუნდია და მეორე ადგილიც მეტად საპატიოა.

ჩემი ექსპრომტად შედგენილი სიმბოლური ნაკრები კი ასეთია: ბარტეზი, ტურამი, დესაი, კანავარო, რობერტო კარლოსი, ჯორკაეფი, დავიდსი, სეზარ სამპაიო, ზიდანი, შუკერი, რონალდო.

# წუხელ საუკუნე დამთავრდა
## საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია

მატჩი №64. 12 ივლისი. სენ დენი. სტად დე ფრანსი. 75 000 მაყურებელი

## ბრაზილია 0:3 საფრანგეთი

0:1, 0:2 ზიდანი (27, 45); 0:3 პეტი (90)


REUTERS სენ დენიდან

ემე ჟაკე — მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი

**ბრაზილია**

1. ტაფარელი
2. კაფუ 4. ჟუნიორ ბაიანო 3. ალდაირი 6. რობერტო კარლოსი
5. სეზარ სამპაიო 8. დუნგა
18. ლეონარდო 10. რივალდო
20. ბებეტო 9. რონალდო

6. ჯორკაეფი 9. გივარში
10. ზიდანი
17. პეტი 7. დეშამპი 19. კარემბუ
3. ლისარასუ 18. ლებეფი 8. დესაი 15. ტურამი
16. ბარტეზი

**საფრანგეთი**

შეცვლა: **ლეონარდო — 19. დინილსონი (46), კარემბუ — 14. ბოგოსიანი (57), გივარში — 21. დუგარი (66), სეზარ სამპაიო — 21. ედმუნდო (74), ჯორკაეფი — 4. ვიეირა (76)**

გაძევება: **მარსელ დესაი (68)**
გაფრთხილება: **ჟუნიორ ბაიანო, დეშამპი, დესაი, კარემბუ**

მთავარი მსაჯი: **საიდ ბელკოლა (მაროკო)**

### 3:0

ფინალში ასეთი ანგარიში არასდროს ყოფილა. ორჯერ, 1958 და 1970 წლებში ერთმა გუნდმა მეორეს სამგოლიანი სხვაობით მოუგო, მაგრამ მაშინ 5:2 და 4:1 იყო. და რომელმა ქვეყანამ იზეიმა ის ორი გამარჯვება? ბრაზილიამ. პირველად შვედეთთან, მეორედ — იტალიასთან. წუხელ, XX საუკუნის ბოლო ჩემპიონატის ფინალშიც გამარჯვებულმა დამარცხებულზე სამი გოლით მეტი გაიტანა, მაგრამ წუხელ ბრაზილია დამარცხდა.

„სტად დე ფრანსზე" მასპინძლებმა იმარჯვეს. მათი სიხარული დიდი და დამსახურებული იყო. ფრანგებმა მოწინააღმდეგეზე უკეთ ითამაშეს და ეს ცხადად აისახა ტაბლოზე.

### მსაჯი

როდესაც ფიფამ გამოაცხადა, რომ ფინალური შეხვედრის არბიტრად მაროკოელ საიდ ბელკოლას ნიშნავდა, ბევრს გაახსენდა, რომ მაროკოს ნაკრები ამ ჩემპიონატზე A ჯგუფში თამაშობდა ბრაზილიასთან ერთად. გონებაში წამოტივტივდა ისიც, რომ მაროკოს უთუოდ სიმპატიურ გუნდს მერვედფინალისკენ გზა ტეტრაკამპიონთა ნორვეგიასთან წაგებამ გადაუღობა და გაჩნდა ეჭვი შესაძლო შურისძიებაზე. თურმე ეჭვი უსაფუძვლო ყოფილა. ბელკოლამ ობიექტურად იმსაჯა, მეორე ტაიმში კი ჩემპიონატის მასპინძლების წინაშე არ შედრკა და მათ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს მარსელ დესაის წითელი ბარათიც ალუმართა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ფინალში მოხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ მსაჯი ძლიერი პიროვნება ყოფილა, ხოლო ფიფას ყოველგვარი ქვეაზრის გარეშე დაუნიშნავს, ისტორიაში პირველად, აფრიკელი მსაჯი მსოფლიოს პირველობის ფინალის გასასჯელად.

### საფრანგეთი

საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა ოქროს თასი ისე აღმართა, რომ კაცს ენა არ მოუბრუნდება აუგის სათქმელად. სამფეროვანთა დაცვა ძალიან ძლიერი მოთამაშეებისგან შედგებოდა. ტურამი, დესაი, ბლანი და ლებეფი უმაღლესი კლასის ოსტატები არიან და ეს ჩემპიონატის ყველა შეხვედრაში, მითუფრო კი (ბლანის გარეშე) ფინალში დაამტკიცეს. მათ კარგად უბამდა მხარს მარცხენა მცველი ლისარასუც, რომელიც ალბათ ხსენებული თანაგუნდელების დონის ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ფრანგული დაცვის ანსამბლს ჩინებულად შეერწყა.

ნახევარდაცვაც საუცხოო ჰყავდათ ფრანგებს. აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი დეშამპი და პეტი არიან, ხოლო კარემბუ მართალია ვარსკვლავად ვერ წარმოჩინდა, მაგრამ უთუოდ ძლიერი გახლავთ. კიდევ ვიეირაზე გვსურს ყურადღების გამახვილება. წუხელ იგი ჯორკაეფის ნაცვლად შევიდა მოედანზე და რამდენიმე დასამახსოვრებელ ეპიზოდში მოასწრო მონაწილეობა. ბოლოს კი საგოლე პასიც შეასრულა. ამ ფეხბურთელის უფრო მეტ შეხვედრაში ხილვა გულშემატკივრისთვის საინტერესო იქნებოდა.

ყველაზე სუსტი ხაზი თავდასხმა იყო. ბრაზილიის კარში გივარშს და მის შემცვლელს დიუგარის სამი გოლის გატანა მართებდათ, რადგან ორჯერ გივარში და ერთხელ დიუგარი დარჩნენ ბრაზილიელ მეკარე ტაფარელთან პირისპირ, მაგრამ მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს.

თუმცა იმის თქმა, რომ ამან ფრანგებს რაიმე დააკლო, შეცდომა იქნებოდა. აწ უკვე მსოფლიოს ჩემპიონებმა ფინალში 3:0 მოიგეს, მთელ ტურნირზე კი ყველაზე, ოცდათორმეტივე მონაწილეზე მეტი, 15 გოლი გაიტანეს, ამიტომაც საუბარი იმაზე, რომ სამფეროვნებმა შეტევა არ იციან, უმეცრებაა. სხვა საქმეა, რომ ამ 15 გოლიდან წესით თავდამსხმელებს მეტი უნდა შეეგდოთ, თუმცა მთავარია, რომ გუნდმა გაიტანა, ხოლო როგორ მოახერხა ეს, მისი საქმეა.

მეკარეც ერთობ საიმედო ჰყავდათ გამარჯვებულებს. წუხელ ფაბიენ ბარტეზმა რამდენჯერმე ჩინებულად ითამაშა, თუმცა ერთ მომენტში გამოსვლაზე შეცდა და ბებეტოს უძღვნა საგოლე მომენტი, მაგრამ მოგვიანებით გაძევებულმა დესაიმ იგი დააზღვია და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

### ზიდანი

ზინედინ ზიდანი ცალკე თემაა. ფრანგთა გამთამაშებელი საკლუბო დონეზე სახელმოხვეჭილი კაცი გახლდათ, მაგრამ ახლა, მას მერე, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზეც დიდებული ფეხბურთი ითამაშა, ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა.

წუხელ, ისევე, როგორც წინა თამაშებში, ზიდანმა ფაქტობრივად არ დაკარგა ბურთი და შეასრულა მწვავე გადაცემები (თავდამსხმელთა მიერ ხელიდან გაშვებული სამი მომენტიდან ორი ზიდანის შექმნილი იყო, ერთი — ტურამის). გარდა ამისა, მან დაცვაშიც დიდი სამუშაო შეასრულა, მაგრამ უმთავრესი მაინც სხვაა, უმთავრესი ის ორი გოლია, რომელიც „ზიზუმ" სამშობლოს უძღვნა.

### ბრაზილია

„სტად დე ფრანსზე" ბრაზილია დამარცხდა და ეს დამარცხება ფეხბურთის უზომოდ მოყვარულ ქვეყანაში დიდხანს მწარედ ემახსოვრებათ. განსაკუთრებით მწარე გემოს ანგარიში ტოვებს, მაგრამ ვგონებთ, ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ბრაზილიის 1998 წლის ნაკრები ძალიან კარგი გუნდი არ იყო. მარიო ზაგალოს საფრანგეთში მეტად ღონიერი და გონიერი გუნდი ჰყავდა ჩაყვანილი, რომელმაც მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა და რაგინდ უკმაყოფილონიც იყვნენ ტეტრაკამპიონები, პლანეტის მეორე გუნდობა უდიდესი საქმეა. პირველი სულ ერთი ქვეყანა ვერ იქნება.

ფინალში ბრაზილიელთა ყველაზე სუსტი ხაზი დაცვა იყო, რომელიც განსაკუთრებით მას მერე მოშიშლდა, რაც ზიდანმა მათ კარში პირველი გოლი გაიტანა და გუნდს მხოლოდ შეტევაზე მოუხდა ფიქრი. ეჭვი არაა, პირველად სამხრეთამერიკელებს რომ გაეტანათ ისევე, როგორც ნახევარფინალში ჰოლანდიელებთან, მოედნის შუიდანვე მარწუხებს მოუჭერდნენ მასპინძლებს. ამიტომაც იყო პირველი გოლის გატანა ფრანგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი.

წუხელ, ცხადია, ყოფილი ჩემპიონები საუკეთესო თამაშისგან შორს იყვნენ, მაგრამ ეს მეტოქის დამსახურება გახლდათ.

ერთობ უცნაური რამ მოხდა შეხვედრის წინ. სააგენტოებმა, რომლებიც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თამაშების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ავრცელებდნენ მწვრთნელთა მიერ დასახელებულ შემადგენლობებს, ბრაზილიის ნაკრების თერთმეტ კაცში არ ჩაწერეს რონალდო. მის ნაცვლად დენილსონი იყო მოხსენიებული. ამას, როგორც იცით, ერთი დღით ადრე ერთვოდა ცნობა, რომ რონალდომ კოჭი იტკინა. დასკვნა მარტივად გამოდიოდა, რონალდოს ფეხი არ მოუშუშდა, მაგრამ აი, გავიდნენ გუნდები მოედანზე და რონალდოც გამოჩნდა.

შეცდომა გამორიცხულია, აშკარაა, რომ „იქნება, არ იქნებას" ილეთით ზაგალომ მეტოქის ნერვებზე თამაში სცადა, მაგრამ, როგორც მატჩმა გვაჩვენა, ტრიუკი ამაო გამოდგა.

### რონალდო

რონალდოს ფრანგმა მცველებმა ყურადღება არ დააკლეს. მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელი თითქოს შებოჭილი იყო და მხოლოდ ერთხელ გაგვახსენა რეალურად თავი, როდესაც მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, უმალ დაიმორჩილა და დაარტყა, მაგრამ მას ბარტეზი დაეუფლა.

21 წლის ვარსკვლავს გაბრწყინება არ გამოუვიდა. თუმცა ფაქტია, რომ მან საბოლოოდ მაინც ისე ითამაშა, ბარე ორი რომ ინატრებდა: 4 გოლი, საგოლე პასები... მაგრამ რონალდოსგან მეტს ელოდნენ. იქნებ სწორედ ამან დათრგუნა დიდი ფეხბურთელი, რომელიც თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, იტყვის მსოფლიოს ჩემპიონატზე 2002-ში, 2006-ში, რადგან ის, რაც თქვა, ყურად არ იღეს.


REUTERS სენ დენიდან

ზინედინ ზიდანმა ანგარიში გახსნა

REUTERS სენ დენიდან



წამიც და ზიდანის თავური რობერტო კარლოსს ფეხებში გაუძვრება — 2:0

### ჟაკე

ფრანგთა მწვრთნელი ემე ჟაკე წუხანდელ თამაშში თითქოს თავად მონაწილეობდაო. შეუძლებელი იყო გეცქირათ ამ ულამაზესი ფინალისთვის და არ გეგრძნოთ, რომ სამფეროვან გუნდს მეთორმეტე წევრი ჰყავდა, რომელსაც ხელმძღვანელის ინტელექტი ჰქვია. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რა დავალებები მისცა ჟაკემ ფეხბურთელებს თამაშამდე ან შესვენებისას რა ურჩია მათ, მაგრამ საოცრად მკაფიოდ იგრძნობოდა, რომ მეტოქე ხუთი თითივით ჰყავდა შესწავლილი და მომავალი თამაში ქვეშევრდომთათვის ვირტუოზულად გაერჩია.

### ჟაკი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს წუხელ ბედნიერი საღამო ჰქონდა. იგი ხარობდა როგორც ჩვეულებრივი ქომაგი, ტაშს უკრავდა, გოლზე წამოხტებოდა... ბოლოს, დაჯილდოვების ცერემონიალის დროს, გახარებულ პრეზიდენტს გახარებული ფეხბურთელები მაგიდაზეც კი აუძვრნენ. ქვეყნის მმართველზე ასე მაღლა მოქალაქე ალბათ არსად და არასდროს ყოფილა.

და კიდევ, წუხელ ჟაკ შირაკს კოსტუმზე ნაკრების შარფი ჰქონდა შემოხვეული, ხოლო ხელთ მაისური ეპყრო, მაისური ნომერი ოცდასამი.

მიშელ პლატინის კი სამფერა მაისურით სულაც ტანი შეემოსა. თუმცა, ის მაისური მისი არ იყო. თავისი, დიდი მაისური პლატინიმ კარგა ხანია, გაიხადა.

### საუკეთესო

დღეს საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. ამის დასტურად მან „სტად დე ფრანსზე“ ოქროს თასი აღმართა. მაგრამ აგერ, ნახევარფინალის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში თვით ლილიან ტურამმა განაცხადა, პლატინის დროინდელი გუნდი ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო.

გამოდის, რომ ძლიერმა საფრანგეთმა ჩემპიონობა ვერ მოიპოვა, ნაკლებად ძლიერმა კი უძლიერესის სახელი დაიგდო. არის ამაში ლოგიკაც და აბსურდიც. აქ ბედზეც შეიძლება საუბარი, რომელიც ვის როდის წყალობს, მხოლოდ თავად უწყის, მაგრამ ფილოსოფიით ნუ გადავაჭარბებთ და მარტივად ვთქვათ: უმართლებს უძლიერესს! ეს ყველაზე მართალი აზრია.

**ილია ბაბუნაშვილი**

**ემე ჟაკე,** საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „თავიდანვე მჯეროდა ჩემი გუნდის. ჩვენ ამ ჩემპიონატისთვის წლების მანძილზე თავდაუზოგავად ვემზადებოდით და როგორც ხედავთ, შედეგიც საუცხოოა. ფინალურ შეხვედრაში ფრანგი ფეხბურთელები უდიდესი თავდაჯერებით თამაშობდნენ, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. კარგად მახსოვს, 1995 წლიდან მოყოლებული ჟურნალისტები ყოვლად უმიზეზოდ დაუნდობლად აკრიტიკებდნენ გუნდს და მას საშინელ ასპარეზობას უწინასწარმეტყველებდნენ. ვფიქრობ, ახლა მთელმა საფრანგეთმა დაინახა, რომ მსოფლიოში საკეთესონი ვართ. იმ ადამიანებს კი, რომლებიც გესლიანად გვაქილიკებდნენ, ვერასოდეს ვაპატიებ. მათ ჩვენს მიმართ უდიდესი სიძულვილი გამოავლინეს და ამას ვერ დავივიწყებ.“

**მარიო ზაგალო,** ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „საფრანგეთის გუნდმა საუცხოოდ ითამაშა. წლევანდელ ტურნირზე მათ მიერ აქამდე გამართული შეხვედრების შემხედვარე ვფიქრობდი, რომ ძლიერად გაირჯებოდნენ, მაგრამ ასე ბრაწყინვალედ? არა, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. მეტოქემ ჩემი გუნდის ფეხბურთელებს გაშლილად თამაშის საშუალება მოუსპო, რამაც წამყვანი მოთამაშეები, ცოტა არ იყო, დააბნია. რაც შეეხება რონალდოს, იგი, ფაქტობრივად, მოედანზე არც ჩანდა. ფრანგები კი... მათ მთელი სამშობლო უცქერდა და წაგება, ალბათ, ღალატის ტოლფასი იქნებოდა. მოკლედ, ფრანგებმა თამაშის ყველა კომპანენტში გვაჯობეს და სამართლიანად გაიმარჯვეს. ჩვენ კი რა უნდა ვქნათ, ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონობის მეხუთედ მოპოვება ვერ შევძელით. თუმცა გული არ უნდა გავიტეხოთ.“

**ზინედინ ზიდანი,** ბრაზილიის ნაკრების კარში ორი გოლის გამტანი: „გამოგიტყდებით, უსაზღვროდ მსურდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლის გატანა, მაგრამ ამას თუ ორჯერ მოვახერხებდი, ნამდვილად არ მეგონა. ეს წარმოუდგენელია. შენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თამაშში ორი ბურთი შეადგო და თანაც ორივე თავით. არა, ამას ვერაფრით ვიჯერებ. მე ხომ თავურ დარტყმებში არც ისე ძლიერი ვარ და მთელი ჩემი კარიერის მანძილზე მეტოქეთა კარს ძირითადად ფეხით ვლაშქრავდი. თუმც ორივე კუთხურის წინ ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, რომ ამას აუცილებლად შევძლებდი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიას ორი ბურთი თავით შევუგდე და ამ გოლებმა სანუკვარი თასი მოგვაპოვებინა. ჩვენ პირველი ტაიმი საუცხოოდ ვითამაშეთ. ბრაზილიელებს, ფაქტობრივად, არც ერთი სახიფათო მომენტი არ შევაქმნევინეთ და მათი საუკეთესო თავდამსხმელი რონალდო საიმედოდ ამოვკეტეთ. შეიძლება გარედან ისე ჩანდა, რომ დაწინაურების შემდეგ ბრაზილიელთაგან არანაირ დაწოლას აღარ ვგრძნობდით და ყოველგვარი პრობლემა თავიდან ავიცილეთ. არა, ასე ნამდვილად არ ყოფილა. მერწმუნეთ, მინდორზე ბოლო წუთებამდე უშელავათო, უკიდურესად დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა და ბრაზილიელელბს ერთი გოლის გაქვითვა რომ მოეხერხებინათ, არავინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა.“

**იური ჯორკაეფი,** საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი: „ჩვენი დღევანდელი გამარჯვება უმთავრესად გუნდის თავკაცის, ემე ჟაკეს ტაქტიკურმა მოსაზრებებმა განაპირობა. ალბათ, ბევრმა იცის, რომ საფრანგეთის ნაკრებისთვის მთავარ მწვრთნელთან ერთად ამ დღისთვის უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ემზადებოდა. ჟაკე აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოთამაშეები რაც შეიძლება უკეთეს ფორმაში მიეყვანა მსოფლიოს ჩემპიონატამდე. მან ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა ჩვენს გონებრივ, ფიზიკურ, ტაქტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი გვეუბნებოდა, ასეთი შანსი მეორედ აღარ მოგვეცემა და მსოფლიოს თასი საფრანგეთში უნდა დავტოვოთო. ჩვენც ვირწმუნეთ საკუთარი ძალები. გავითავისეთ, რომ პლანეტის საუკეთესო გუნდი ვართ და ფინალში გამარჯვებაც ამან შეგვაძლებინა.

REUTERS სენ დენიდან



პენტაკამპიონობა გადაიდო — მარიო ზაგალო დამწუხრებული

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. გივარშმა ბურთი საჯარიმოში მიილო, მაკრატელა დაარტყა, მაგრამ ააცილა.

3. ზიდანის ბრწყინვალე პასი და გივარში მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა უხეიროდ დაარტყა და ტაფარელს ბურთის აღება არ გასჭირვებია.

6. მარცხენა ფლანგზე ზიდანი ორ მცველს გასცდა და საჯარიმოში ჩააწოდა, ჯორკაეფის თავური უზუსტო გამოდგა.

17. ჯორკაეფის შორეული დარტყმა, კვლავ არაზუსტი.

24. ლეონარდომ კუთხურიდან მოაწოდა, ყველას სეზარ სამპაიომ დაასწრო, ბარტეზის ოსტატობამ ფრანგები აშკარა გოლისაგან იხსნა.

27. პეტის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულს პირველმა ზიდანმა მიუსწრო და ლამაზი თავურით პირველი გოლიც გაიტანა.

30. რონალდო ფრანგთა საჯარიმოში შეიჭრა, ბარტეზიმ დროულად დატოვა კარი და ბრაზილიელთა ფორვარდს ცხვირწინ ააცალა ბურთი.

33. ბაიანო ჯორკაეფთან ორთაბრძოლისას უხეშობს და მსაჯისგან ყვითელ ბარათს იღებს.

35. ჯორკაეფი ორ მეტოქეს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა კიდეც, მაგრამ ძალიან სუსტად და ტაფარელი იოლად ეუფლება ბურთს.

37. მაროკოელი მსაჯი რივალდოსთან უხეში თამაშისთვის ფრანგთა კაპიტან დეშამპს აფრთხილებს.

39. ლეონარდოს გამოზომილი პასი და ბებეტოს თავური, ბარტეზი საჭირო ადგილზე ხვდება ბურთს.

41. კარემბუს შორეული დარტყმა, ბაიანოსგან ასხლეტილი ბურთი პეტის მიუგორდა, მანაც გაისროლა, თუმცა ტაფარელის კარს ოდნავ ააცილა.

44. ტურამმა გრძელი, უზუსტესი პასით გივარში მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ფრანგ თავდამსხმელს გოლის გატანა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ კვლავ ტაფარელმა ივარგა.

45. ჯორკაეფის კუთხური და კვლავ ზიდანის თავური — 2:0. კარის ხაზზე მდგომ რობერტო კარლოსს ბურთი ფეხებშუა გაუძვრა.

47. მსაჯმა ამჯერად დესაის აუფრიალა ყვითელი ბარათი.

50. კაფუ სახიფათოდ უტევს მარჯვენა ფლანგიდან, მარსელ დესაი თავგანწირვით თამაშობს და ბურთს კუთხურზე იგერიებს.

52. დუნგა 30 მეტრიდან ურტყამს, კვლავ არაზუსტად.

56. დენილსონთან ბრძოლაში კარემბუ ჯარიმდება, ისევ ყვითელი ბარათი.

57. ბრაზილიელებმა ჯარიმა კარგად გაითამაშეს, რონალდოს გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდა, სამი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ბარტეზი ბრწყინვალედ თამაშობს და მშრალად ინახავს საკუთარ კარს.

60. ბარტეზი გამოსვლაზე შეცდა, ბებეტომ მომენტით ისარგებლა და გაიტანდა კიდეც, რომ არა დესაი. ფრანგმა მცველმა კარის ხაზიდან ბურთი კუთხურზე გადააგდო.

62. რივალდომ საჰაერო ბრძოლა მოიგო, თუმც მისი თავური დარტყმა სუსტი გამოდგა.

65. ბაიანომ ბურთი ტაფარელს დაუბრუნა, მაგრამ გადაცემა გივარშმა ჩაჭრა და უკვე მერამდენედ გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცა. მისი დარტყმული კვლავაც ასცდა კარს.

68. მარსელ დესაი უხეშად ეთამაშა კაფუს და მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

70. დენილსონის შორეული დარტყმა დიდი მანძილით სცდება კარს.

82. ზიდანის ბრწყინვალე პასი, დიუგარი ტაფარელთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერც ამან ივარგა.

89. ედმუნდოს კარგი პასი და დენილსონის ეფექტური დარტყმა, ფრანგების ხარიხამ იხსნა.

90. რივალდოს შორეული დარტყმა, ბარტეზი კუთხურზე იგერიებს ბურთს.

90. ფრანგები ბრაზილიელებს კონტრშეტევაზე იჭერენ და პეტის მესამე გოლი გააქვს ტაფარელის კარში.

# ჩემპიონატს ღარიბნი არ მასპინძლობენ

ფიფას პრეზიდენტი, შვეიცარიელი ზეპ ბლატერი ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჟურნალისტებს ერთობ ანებივრებდა არცთუ იშვიათი გამოსვლებით. პატივცემულმა პირმა მორიგი პრესკონფერენცია გუშინწინაც გამართა, რომელიც ძირითადად მომავალ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს შეეხებოდა. ბლატერის განცხადებით, დღესდღეობით აზიაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში ფიფა არ გაუწევს ფინანსურ დახმარებას ოთხი წლის შემდეგ გასამართი უპირველესი საფეხბურთო ტურნირის მასპინძლებს — სამხრეთ კორეასა და იაპონიას.

როგორც აღმოჩნდა, უმძლავრესი საფეხბურთო ორგანიზაცია სექტემბრისთვის ამ აზიურ ქვეყნებში რამდენიმე წევრისგან შემდგარი ინსპექტორთა ჯგუფის გაგზავნას აპირებს. პროფესიონალები დაწვრილებით შეისწავლიან იაპონიასა და სამხრეთ კორეაში შექმნილ ვითარებას და თავიანთ დაკვირვებებს დეკემბერში ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას გაუზიარებენ. ერთ-ერთი პრესის ერთ-ერთი წარმომადგენლის კითხვაზე, თუ სიტუაცია გართულდება, აზიელებს ჩემპიონატის მასპინძლობის გასაადვილებლად ფიფა გარკვეული რაოდენობის სესხს ხომ არ გამოუყოფსო, პრეზიდენტმა უპასუხა: „გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენ არანაირი დახმარების გაწევას არ ვაპირებთ. ფიფას ეს აუცილებლად არ მიაჩნია. ქვეყნებმა, რომელბმაც მსოფლიოს პირველობის ჩატარება განიზრახეს, თავად უნდა მიხედონ თავს“.

მოგეხსენებათ, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეკონომიკური მდგომარეობა მთლად სახარბიელო არ არის. ძირითადად ეს ქვეყნები ფულად კრიზისს განიცდიან და ამ ვითარებას გაუმჯობესების პირი არ უჩანს.

ბლატერმა ასევე შორს დაიჭირა იდეა იმის თაობაზე, რომ 2002 წელს ჩემპიონატის ზოგიერთ მატჩს ჩრდილოეთ კორეამაც უმასპინძლოს.

ფიფამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვა ორ ქვეყანას დაავალა. ამიტომ შეხვედრების სხვაგან ჩატარება სრულიად დაუშვებელია. მაშინაც კი, თუ ოთხი წლის შემდეგ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა გაერთიანდებიან და ერთ სახელმწიფოს შექმნიან, ჩვენ საგანგებო განხილვის გარეშე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტთ. ახლა კი ვფიქრობ, ყველაფერი დღესავით ნათელია. ფიფას განრიგში გარკვევით წერია — 2002 წლის საფეხბურთო ტურნირის იაპონია და სამხრეთ კორეა უმასპინძლებენ. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, იგი სრულიად სხვა ქვეყანაა — ასეთი გახლავთ პრეზიდენტის მოსაზრება.

შვეიცარიელმა თავისი გამოსვლისას წარმოადგინა ფიფას სამომავლო საქმიანობის 11-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა. სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთა დიალოგის გამართვა, ევროპის კავშირისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება, მსაჯობა, ადგილობრივი ლიგების ავტონომია და ფიფას წევრი ექვსი კონფედერაციის სამომავლო როლი ის საკითხებია, რომელთა განხილვას უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაცია უახლოეს ხანებში აპირებს.

მსაჯობაზე ბლატერი დიდხანს შეყოვნდა და განაცხადა, რომ დროა, არბიტრებს პროფესიონალის სტატუსი მიენიჭოს, რაც ძალიან ბევრ გაუგებრობას მოუღებს ბოლოს და თავად მსაჯების დონესაც საგრძნობლად აამაღლებს.

— ჩვენ მთლიანად უნდა შევცვალოთ მსაჯებისადმი დამოკიდებულება. ისინი ერთგვარ იზოლაციაში მოექცნენ და არ იციან, სამომავლოდ რა გზას დაადგნენ. ერთი მხრივ, საფეხბურთო შეხვედრების მომსახურება უხდებათ, მაგრამ იმავდროულად ეს მათი მთავარი პროფესია არ გახლავთ.

ერთი ფაქტიც უნდა აღინიშნოს. წლეულს საფრანგეთში თითოეულ მატჩზე ოთხ-ოთხი არბიტრია მივლენილი, თუმცა ვალდებულებებს ამათგან მხოლოდ ერთი, მთავარი მსაჯი იღებს თავის თავზე. იგი ინიშნავს დროს, საჯარიმო დარტყმებისას ცოცხალ კედელში მდგომ ფეხბურთელებს აიძულებს, ზუსტად დაიცვან ცხრამეტრიანი დისტანცია და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ეს არ გახლავთ იდეალური სიტუაცია — ბლატერი ისეთი თავდაჯერებით საუბრობდა, ძნელია, არ დაეთანხმო. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი ამგვარ საკითხებს ფიფას გენერალურ მდივნად ყოფნისას წლების მანძილზე განიხილავდა და კარგადაც უწყის მსაჯობის ავკარგი.

რაც შეეხება საკამათო ეპიზოდებში ვიდეოგამეორების გამოყენებას, ამაზე ბლატერის მოსაზრება ცალსახაა:

— ცვლილებებზე საუბრისას არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ვიდეოგამეორებების ნახვის დაკანონებას. მეტიც, თამაშის გასაკონტროლებლად ყოველგვარი ხელოვნური მოწყობილობის გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ერთხელ და სამუდამოდ ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ფეხბურთი ადამიანთა თამაშია, რომელშიც ტექნიკის ჩარევა დამღუპველი იქნება.

**ირაკლი ხმელიძე**



სარბიელის არქივიდან

იოზეპ ბლატერის პრინციპულობა საქვეყნოდაა ცნობილი

# გახსოვდეთ შუკერი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის ბოლოსწინა შეხვედრამდე დავორ შუკერს არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტასთან და იტალიელ კრისტიან ვიერისთან ერთად ხუთი გატანილი გოლით ბომბარდირთა სიაში პირველი ადგილი ეკავა. ჰოლანდიელებთან მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ხორვატმა შეძლო გოლის გატანა.

„ამაღამ მსოფლიოს უბედნიერესი ადამიანი გავხდი. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ხორვატიაა, მსოფლიოს მესამე გუნდობა იგივეა, რაც ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ვამაყობ, ძალიან ვამაყობ ამით“ — თქვა შუკერმა.

შემდეგ მას საუკეთესო ბომბარდირის პრიზზე, ოქროს ბუცზე ჩამოუგდეს სიტყვა.

„ნუ ვიჩქარებთ, დაველოდოთ ფინალს. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, ჩემთვის მესამე ადგილზე გასვლა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საუკეთესო მომბარდირის წოდება“ — უპასუხა ხორვატიის ნაკრების ცხრა ნომერმა.

შუკერის გადასწრების ერთადერთი ვარიანტი რონალდოს ჰეთ-თრიკით ჰქონდა. ფინალში ჰეთ-თრიკი კი ისტორიაში ერთადერთ კაცს, ინგლისელ ჯეფ ჰერსტს მოეხერხებინა 1966 წელს.

შეგახსენებთ, რომ 1974 წელს პოლონელმა თავდამსხმელმა გჟეგოჟ ლატომ ტურნირი შვიდი გოლით დაასრულა. მას მერე ჩატარებულ ხუთ ჩემპიონატში კი ბომბარდირები ექვსგოლიანები ხდებოდნენ. 1978 წელს, არგენტინაში მარიო კემპესმა გაიტანა ექვსი გოლი, 1982 წელს იტალიელმა პაოლო როსიმ გაიმეორა იგივე ესპანეთის სტადიონებზე. 1986-ში იტალიელმა სალვატორე სკილაჩიმ იყოჩაღა შინ, 1994 წელს კი ამერიკის მინდვრებზე ექვსგოლიანი შედეგი ორს, ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს და რუს ოლეგ სალენკოს ჰქონდა.

„ძალიან მეეჭვება, რონალდომ ფინალში სამი გოლი გაიტანოს. ამიტომაც მგონია, რომ ოქროს ბუცი დავორს დარჩება“ — ამბობდა ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი.

არადა უცნაურია, შუკერს გასული სეზონი მეტად გახუნებული და არაფრისმთქმელი ჰქონდა. მან მადრიდის „რეალში“ ძირითადი შემადგენლობის ადგილი დაკარგა და ისეთ დიდ თამაშში, როგორიც ჩემპიონთა თასის ფინალი გახლდათ, მხოლოდ 89-ე წუთზე, დროის გასაყვანად და, ალბათ, მისი გვარის ოქმში დასაფიქსირებლად შეიყვანეს მოედანზე. ეს იყო ამსტერდამში, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ, 20 მაისს. იმ დღიდან ცოტა ხანში კი უკვე ხორვატთა ნაკრების ფორმაში გამოწყობილმა შუკერმა მსოფლიო კლასის ვარსკვლავის სახელი დაიგდო.

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი გოლი შუკერმა იამაიკის ნაკრებს გაუტანა. ის შეხვედრა ხორვატებმა 3:1 მოიგეს. მეორედ მისი დარტყმის შემდეგ ბურთმა იაპონიის ნაკრების კარის ხაზი გადაკვეთა. იაპონიასთან შეხვედრაში მეტი გოლი აღარც გასულა. ჯგუფური ტურნირის მესამე შეხვედრა ხორვატებს არგენტინელებთან ჰქონდათ და 0:1 დამარცხდნენ, მერვედფინალში კი ასეთივე ანგარიშით აჯობეს რუმინელებს. რუმინელების კარში ერთადერთი გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გავიდა და ის დარტყმა დავორ შუკერმა შეასრულა. მეოთხედფინალი შუკერის გუნდისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი გახლდათ. ამ ეტაპზე მსოფლიოს ჩემპიონატების დებიუტანტს სამგზის ჩემპიონი გერმანია ემსხვერპლა 3:0. ერთი გოლი, თავისი მეოთხე, აქაც შუკერმა გაიტანა და ნახევარფინალშიც (1:2 საფრანგეთთან) დაამატა მონაგარს ერთი, ვისაც ამ ჩამოთვლილი ხუთი გოლის გახსენება შეუძლია, უთუოდ ემახსოვრება შუკერის ბოლო, მეექვსე გოლიც, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში. ჰოლანდიელებს რომ გაუტანა.




სარბიელის არქივიდან

დავორ შუკერი — ხორვატთა მრისხანე თავდამსხმელი

# ფიფა ყველაფერს ხედავს

მსოფლიოს ჩემპიონატებს ერთი გამორჩეული თვისება ახასიათებს — ამ ტურნირზე მონაწილე ფეხბურთელები, ისინიც კი, ვინც თავიანთ გუნდებთან ერთად დიდ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, გულშემატკივართა მეხსიერებაში სამუდამოდ იმკვიდრებენ ადგილს. ასე იყო ყოველთვის. გამონაკლისი არც საფრანგეთი 98-ია, რომელმაც ბევრი ახალი სახელი აღმოაჩინა და უკვე სახელგანთქმულ მოთამაშეებსაც მისცა თავის უკეთესად წარმოჩენის საშუალება. ამ ფეხბურთელებს ყველა განსაკუთრებული სითბოთი იხსენიებს — გულშემატკივარი, ჟურნალისტი, ფეხბურთის სპეციალისტი... მათი ნაკრებების წარუმატებლობა კი ალბათ იმის ბრალია, რომ ამ ფეხბურთელების ინდივიდუალური ბრწყინვალება, ხანდახან გუნდისთვის საკმარისი არ არის. ამიტომაც ისინი ადრეულ ეტაპზე ემშვიდობებიან ჩემპიონატს. მოკლედ რომ ვთქვათ, იჩაგრებიან.

სწორედ ეს ფაქტი აღნიშნეს ამ დღეებში თავიანთ გამოსვლებში ფიფას ჩინოვნიკებმა, რაც, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია, რადგან ყველასთვის სასიამოვნოა, როდესაც მათ შრომას, მიუხედავად ნაკრების წარუმატებელი ასპარეზობისა, ვილაც აფასებს: მით უმეტეს, რომ ეს „ვილაც“ არა ჩვეულებრივი ქომაგი, არამედ ფიფას ან უეფას პრეზიდენტია.

პირველ რიგში უზენაესი საფეხბურთო ორგანოს თავკაც ზეპ ბლატერის გამონათქვამებს გაგაცნობთ, რომელიც თურმე აღფრთოვანებული ყოფილა ახალგაზრდა ინგლისელი ფორვარდის, მაიკლ ოუენის თამაშით: „ამ ყმაწვილს, ეჭვი არ მეპარება, ძალიან დიდი მომავალი ექნება. მას ყველა ის თვისება გააჩნია, რაც უმაღლესი დონის ვარსკვლავისთვისაა საჭირო. ამიტომაც მგონია, ოუენი ბევრს მიაღწევს, იგი ხომ ჯერ კიდევ 18 წლისაა. მარტო ის გოლი რად ღირს, მერვედფინალში არგენტინის ნაკრებს რომ გაუტანა. ამ ეპიზოდმა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ჩემპიონატი დაამშვენა. გარდა უდიდესი საფეხბურთო ნიჭისა, ამ ბიჭმა თავისი შესანიშნავი ადამიანური თვისებებითაც მომხიბლა. იგი ნამდვილი ვაჟკაცია, რაც იმავე შეხვედრაში დაამტკიცა კიდეც, ჯერ მაშინ, როდესაც ინგლისელები ათნი დარჩნენ, კაცურად, ბოლომდე იბრძოლეს და მათ რიგებში მაშინაც კი გამორჩეული ფიგურა იყო, ხოლო შემდეგ, პენალტების სერიის შესრულებისას, როცა იგი გამოცდილი მოთამაშესავით მიუახლოვდა თერთმეტმეტრიანის ნიშნულს და ნერვიც კი არ შეტოკებია, ისე გაიტანა“.

ახალგაზრდა ვარსკვლავზე საუბრის შემდეგ იოზეფ ბლატერმა საფრანგეთი 98-ის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, პარაგვაელთა მეკარე და კაპიტანი ხოსე ლუის ჩილავერტიც გაიხსენა: „იგი ნამდვილი ლიდერია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სწორედ მისი უსაზღვრო ჟინისა და მონდომების ფასად მიაღწიეს პარაგვაელებმა ამდენს და რომ არა მცირე უიღბლობა, ისინი უდიდესი სენსაციის ავტორებიც გახდებოდნენ. გარდა იმისა, რომ იგი ჩინებული მეკარეა და საჯარიმო დარტყმებსაც ბევრ მოედნის მოთამაშეზე კარგად ასრულებს, ჩილავერტი დიდებული პიროვნებაცაა. ასეთი ფეხბურთელები უფრო მეტად არიან დასაფასებელნი, რადგან დამწყები მოთამაშეები ცდილობენ, მათ დაემსგავსონ“.

რაც შეეხება უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს, მან, შეიძლება ითქვას, ძველ გვარდიაზე გააკეთა აქცენტი. ფიფას თავკაცობისთვის ბრძოლაში ბლატერის ყოფილმა მოწინააღმდეგემ, პირველ რიგში ფინალისტების ორი ლიდერი გამოყო — ფრანგების კაპიტანი დიდიე დეშამპი და ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი რონალდო. რის შემდეგაც უკვე შინ ნაადრევად გამგზავრებული ვარსკვლავები, ძმები ლაუდრუპები გაიხსენა: „ხალხი ამბობდა, ისინი დაბერდნენ და ღირებულს ვეღარაფერს შექმნიანო. მაგრამ, როგორც ნახეთ, ბრაიანმა და მიქაელმა დაამტკიცეს, რომ ისინი პროფესიონალები არიან. აღფრთოვანებული ვარ მათი გამოსვლით. ძმებმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს და მსოფლიოს ჩემპიონატს დამატებითი ხიბლი შემატეს“.

ასე რომ, ნიჭი და შრომა არასდროს დაიკარგება. მთავარია, მონდომება და საქმისადმი სიყვარული, ხოლო რა შედეგს გამოიღებს ეს ყველაფერი, უკვე მეორე საკითხია. ასეთია ფეხბურთი, შენი გუნდი ხან მოიგებს, ხან წააგებს, ხოლო მოედანზე შექმნილი სილამაზე არავის არასდროს ავიწყდება.

**დავით ქოქზირიძე**



სარბიელის არქივიდან

ლაუდრუპების კარგი თამაში არც ლენარტ იუჰანსონს გამორჩენია

# ბრინჯაომ შეიძლება ფასი დაკარგოს

უკვე დიდი ხანია, გულშემატკივართა თუ ფეხბურთის სპეციალისტთა წრეებში მიმდინარეობს სჯა-ბაასი იმის თაობაზე, ღირს თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის შეხვედრის ჩატარება. ერთნი ამტკიცებენ, რომ ღირს და მიზეზად იმას ასახელებენ, რომ სხვა თუ არაფერი, მაყურებელი კიდევ ერთ თამაშს ნახავს ვარსკვლავთა შესრულებით, ხოლო მეორენი ამბობენ — გუნდები, რომლებიც ნახევარფინალში გადიან, ბუნებრივია, ჩემპიონობაზე ფიქრობენ და მათი მთავარი მიზანიც, აქედან გამომდინარე, იმ კონკრეტულ შეხვედრაში გამარჯვებაა, ხოლო როდესაც ერთ-ერთი ნახევარფინალისტი მარცხდება, იგი ყოველგვარ ჟინს კარგავს და მისთვის სულერთია, მესამე ადგილს დაიკავებს თუ მეოთხეს. ფაქტობრივად, ორივე მხარე მართალია. ორივეს მოსაზრება საფუძვლიანია და, ალბათ, ამიტომაც არის ეს პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი.

აქამდე ჩატარებული 16 მსოფლიოს ჩემპიონატიდან მატჩი მესამე ადგილისთვის 14-ში გაიმართა. გამონაკლისი იყო პირველი ჩემპიონატი საფრანგეთში 1930 წელს და მეოთხე, 1950 წელს ბრაზილიაში. უმეტეს შემთხვევაში ამ მატჩებში ერთმანეთს დიდი საფეხბურთო სკოლის მქონე ქვეყანათა ნაკრებები უპირისპირდებოდნენ. ყველაზე უინტერესო კი, ალბათ, ოთხი წლის წინ აშშ-ში გამართული შეხვედრა იყო, სადაც ერთმანეთს ბულგარეთისა და შვედეთის გუნდები შეხვდნენ.

ამ საკითხის გადაწყვეტა, უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ფიფას კომპეტენციაა. ამიტომაც ურიგო არ იქნება, ამ ორგანიზაციის ახალდანიშნული პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის აზრი შევიტყოთ: „ეს დღესდღეობით ერთ-ერთი უმთავრესი განსახილველი საკითხია და სანამ მას დადებითად ან უარყოფითად გადავწყვეტთ, სერიოზული დაფიქრება გვმართებს. მართალია, ევროპის ჩემპიონატზე მატჩი მესამე ადგილისთვის არ იმართება, მაგრამ ყველა დანარჩენ, ასე თუ ისე მნიშვნელოვან ტურნირზე ეს აუცილებელია. ჩვენ უეჭველად უნდა ვიმსჯელოთ ამ პრობლემაზე. დებატებში მონაწილეობის უფლება ყველას ექნება, ვისაც ფეხბურთის მომავალი აღელვებს".

თუ ფიფას პრეზიდენტის პოზიცია გაუგებარია, მის ყოფილ კონკურენტს, უეფას თავკაც ლენარტ იოჰანსონს გამოკვეთილი აზრი გააჩნია: „ჩემი აზრით, ამ შეხვედრის მსოფლიოს ჩემპიონატზე შენარჩუნება აუცილებელია. თუნდაც 1994 წელი გავიხსენოთ, როდესაც ჩემმა თანამემამულეებმა მესამე ადგილი დაიკავეს და სამშობლოში დაბრუნებულებს აეროპორტში 240 000 გულშემატკივარი დახვდათ. მერწმუნეთ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს სპორტსმენისთვის. ამიტომაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ — მატჩები ბრინჯაოს მედლებისთვის უნდა გაიმართოს".

იუჰანსონის აზრს წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, წლევანდელი მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მიშელ პლატინიც ეთანხმება: „ვფიქრობ, ეს მატჩები უნდა გაიმართოს. მართალია, ზოგიერთი ფეხბურთელისთვის იგი სრულიად უინტერესოა, მაგრამ გუნდის დანარჩენი წევრებისთვის ეს თავის გამოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა". საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ასეთი ისტორიაც გაიხსენა: „1982 წელს მესამე ადგილისთვის ბრძოლაში პოლონელებთან დავმარცხდით. მათ შემადგენლობაში მაშინ ზბიგნევ ბონეკი გამოდიოდა, რომელთან ერთად ტურინის „იუვენტუსში" არაერთი მშვენიერი სეზონი გამიტარებია. დღესაც კი, სადაც არ უნდა შევხვდეთ მე და ბონეკი, იგი ყოველთვის ირონიულად მახსენებს იმ თამაშს".

მატჩი მესამე ადგილისთვის კიდევ იმიტომაა აუცილებელი, რომ ბევრ მოთამაშეს ბომბარდირობისთვის საჭირო გოლების გატანის საშუალება ეძლევა. სხვა საქმეა, იყენებს თუ არა იგი ამას. 1990 წელს, იტალიაში, როცა ერთმანეთს მასპინძლები და ინგლისელები ხვდებოდნენ, სალვატორე სკილაჩიმ მატჩის მიწურულს თერმეტმეტრიანი გაიტანა, თავისიანებს 2:1 მოაგებინა და ექვსი გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ოთხი წლის შემდეგ, მესამე ადგილისთვის ბულგარელები და შვედები იბრძოდნენ. მაშინ ხრისტო სტოიჩკოვი ექვს გოლს ითვლიდა, ისევე, როგორც რუსი ოლეგ სალენკო და მას შეეძლო, ერთპიროვნული მეგოლე გამხდარიყო, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა, შვედებმა 4:0 მოიგეს.

40 წლის წინ 1958-ში, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ჟიუსტ ფონტენმა ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში გერმანელებთან შეხვედრისას ოთხი ბურთი შეაგდო და 13 გოლით არამარტო იმ ჩემპიონატის, ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი გახდა.

რაც შეეხება ამ მხრივ მეორე შედეგის მქონე უნგრეთის „დიდი გუნდის" ფორვარდ შანდორ კოჩიშს, რომელმაც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე 11 გოლი გაიტანა, იგი ამ მატჩების გაუქმების მომხრე ყოფილა.

ასე რომ, ეს საკითხი კვლავ მწვავეა. ფიფას ხელმძღვანელობას მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. იოზეფ ბლატერი გვპირდება, რომ ეს პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება. როგორი იქნება მისი და ფეხბურთის სხვა სპეციალისტების არჩევანი, ამას 2002 წლამდე, ალბათ, უეჭველად შევიტყობთ.

**დავით ძოვზირიძე**



სარბიელის არქივიდან

მესამე ადგილისთვის ბრძოლა ყოველთვის ასე ჭიგრიანი როდია



სარბიელის არქივიდან

ბილიჩი უღირს საქციელს ნანობს

# ავი ძაღლი

სლავენ ბილიჩი მსოფლიოს ჩემპიონატის გამოკვეთილი ანტიგმირი გახდა. როდესაც მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ის „პარკ დე პრენსის" მინდორზე გავიდა, მაყურებელმა სტვენით მიიღო. მიზეზი: ბილიჩმა ხორვატიისა და საფრანგეთის ნახევარფინალურ შეხვედრაში პროვოკაცია მოუწყო ფრანგ მცველს ლორან ბლანს და ესპანელ მსაჯს ხოსე მარია გარსია არანდას, იგი მოედნიდან გააძევებინა. ასეთი საქციელი სხვა ანტიგმირებსაც ჩაუდენიათ, მაგრამ ხორვატმა ფეხბურთელმა საძაგელთა შორის საძაგლის სახელი იმიტომ დაიმსახურა, რომ შეხვედრა ნახევარფინალური იყო და თან მთავრდებოდა, ესე იგი, მისი ვერაგობის გამო ბლანმა, არც მეტი არც ნაკლები, ფინალი გამოსტოვა. რა მისცა ბლანის გაძევებამ ბილიჩს? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. ბლანს კი კარიერის ყველაზე დიდ შეხვედრაში თამაშის შანსი მოუსპო. ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო, ამაზეა ნათქვამი.

როდესაც სტადიონის დიქტორმა ჰოლანდიასთან თამაშის წინ ბილიჩის გვარი გამოაცხადა, „პარკ დე პრენსის" ტრიბუნები სასტიკმა სტვენამ გააყრუა. იგივე ხდებოდა მთელი მატჩის განმავლობაში, როგორც კი ხორვატი მცველი ბურთს მიიღებდა.

1974 **წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის დარად ამ ზაფხულს საფრანგეთში გამართულ ტურნირზე ჰოლანდიის ნაკრების თამაშის შემხედვარე მრავალ გულშემატკივარს ისეთი აზრი შეექმნა, რომ „ნარინჯისფერებმა" ბოლომდე ვერ გამოავლინეს თავიანთი პოტენციალი. თითქოს ყველაფერი ჰქონდა „ტიტების ქვეყნის" ნაკრებს — პირველხარისხოვანი შემსრულებლები, მაღალტექნიკური კომბინაციური თამაში, უზუსტესი ტაქტიკური განლაგება, მაგრამ იმავდროულად აკლდა ის, რაც დელისგან განსხვავებით, — მათ [illegible] წვრთნელ ბანაკში უთანხმოებებს ადგილი არ ჰქონია და ნაკრებიც შემტევ მომხიბვლელ და რაც მთავარია, შემოქმედებით ფეხბურთს თამაშობდა.

— ჩვენთვის მთავარი წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ჰოლანდიური სტილის ფილოსოფიის დაცვა გახლდათ. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ცუდი, ჩვენთვის უცხო ფეხბურთის წყალობით ჩემპიონობის მოპოვების შემთხვევაში ბიჭებით კმაყოფილი ვიქნებოდი. არა, უბრალოდ, „ნარინჯისფერებს" სხვაგვარად

# 2000 წელს შინ გამარჯვების იმედით

ჰოლანდიელებს ყოველთვის ხელს უშლიდა უმაღლესი საფეხბურთო მწვერვალის დაპყრობაში

რა არის ეს „ის"? ამაზე პასუხის გაცემა, ალბათ, თვით გამოცდილ სპეციალისტებსაც გაუჭირდებათ, თუმცა თავად ჰოლანდიელებისთვის ყოველგვარი საუბარი სრულიად უაზროა. ფაქტი ერთია— ამ უდიდესი შესაძლებლობების გუნდმა საუცხოო შანსი გაუშვა ხელიდან და მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

მართალია, მეოთხე ადგილი ის პოზიცია არ გახლავთ, რომელსაც ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი თავის ქვეშევრდომებს უგეგმავდა, მაგრამ ხორვატიასთან მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში დამარცხების შემდეგ გუნდის თავკაცს უკმაყოფილების გამოთქმა არ უცდია.

— თავადაც ნახავდით, რომ ჰოლანდიის გუნდი წლევანდელ ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, რომელიც სულ მცირე ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობას იმსახურებდა. თუმცა ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ჩვენ გვსურდა. გამოგიტყდებით, გული დამწყდა, რომ უკეთესი ადგილი ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჩემი ნაკრები საფრანგეთში ჩასულ 32 ფინალისტთაგან სრულიად განსხვავებული სტილის ფეხბურთს აჩვენებდა და მილიონობით გულშემატკივრის გული მოიგო. მეამაყება, რომ ამ მოთამაშეების მწვრთნელი ვარ — ასე შეაფასა ჰიდინკმა ჰოლანდიელთა გამოსვლა საფრანგეთში.

ოცი წლის წინ გერმანიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე ჰოლანდიელებმა მართლაც ლეგენდარული გუნდი ჩაიყვანეს და მიუხედავად იმისა, რომ ფინალური მატჩი მასპინძლებთან 1:2 წააგეს, ეს ნაკრები სპეციალისტებმა ერთხმად შერაცხეს საუკეთესოდ იმათგან, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატი არასდროს მოუგიათ. წლეულს საფრანგეთში ჰიდინკისეულ ჰოლანდიას აშკარად აკლდა ისეთი დონის ვარსკვლავები, როგორებით 70-იანებში იოჰან კრუიფი და იოჰან ნეესკენსი იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ ჰქონდათ ის, რითაც ვერც ერთი სხვა ნაკრები ვერ დაიკვეხნიდა — საოცრად ორგანიზებული გუნდური თამაში და ღრმად გათვლილი ტაქტიკური განლაგება.

თითქოს ბედის ირონიაა, სწორედ ამ თვისებების ნაკლებობას განიცდიდა 1996 წელს ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე ნიდერლანდების გუნდი, რომელსაც მაშინაც ჰიდინკი ედგა სათავეში. მაშინ ჰოლანდიელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სუსტად იასპარეზეს და ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამჯერად, ორი წლის წინანთამაში არ ძალუძთ. როცა ისინი მოედანზე გადიან, მთელ სულსა და გულს იქ ტოვებენ — ამბობს ჰიდინკი.

ისე, ცოტა არ იყოს, მწვრთნელის განცხადება უცნაური გახლავთ, რადგან არა გვგონია, უფერული გამოსვლით მსოფლიოს თასის მომგები ჰოლანდიელებით მათი თავკაცი, ანაც ერთგული გულშემატკივრები გულნატკენნი დარჩენილიყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნებისმიერი გუნდისთვის ხომ მთავარი გამარჯვებაა და დიდი მნიშვნელოა არ ენიჭება იმას, თუ რა გზით მიიღწევა იგი.

საგულისხმოა, რომ „ნარიჯისფერთა" დამრიგებელი ხორვატებთან შეხვედრის წინ თავის გუნდს საგანგებოდ მოძღვრავდა და მათგან მხოლოდ მოგებას მოითხოვდა. მიზეზი? ამის მიზეზი სრულიად მარტივი გახლდათ — ჰოლანდიას ხომ წლევანდელ ასპარეზობაზე არც ერთი მატჩი არ წაეგო.

— ძალიან მსურდა, ტურნირი დაუმარცხებლად ჩაგვეთავებინა, მაგრამ ვერ შევძელით — ამით თქმალა მოახერხა გაწბილებულმა ჰიდინკმა თამაშის შემდეგ.

თუმცა ჰოლანდიელებისგან მესამე ადგილისთვის მატჩში ნაკლები თავდადებით გარჯა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ბრაზილიელებთან ნახევარფინალში განცდილი მარცხის შემდეგ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად დათრგუნული იყვნენ და ზოგიერთ მათგანს მოედანზე გასვლაც არ უნდოდა.

— ჩვენ თამაშის ხალისი დავკარგეთ. ბრაზილიელებთან ბრძოლაში გამარჯვების კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ პენალტების სერია მათ უკეთ შეასრულეს. ამან ჰოლანდიელი მოთამაშეები სულიერად გატეხა და დღეს საკუთარი შესაძლებლობების 100 პროცენტით გამოვლენა გაგვიჭირდა — განაცხადა ფრანკ დე ბურმა გუშინწინდელი მატჩის შემდეგ.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჰოლანდიელებმა საფრანგეთში კარგად იასპარეზეს. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა უბრალო საქმე არ გახლავთ. გარდა ამისა, „ნარინჯისფერთა" ორი ფეხბურთელი — ედგარ დავიდსი და ფრანკ დე ბური ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ და პარასკევს ფიფას მიერ გამოქვეყნებულ სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდნენ.

— გუნდმა უდიდესი გამოცდილება შეიძინა, რაც 2000 წელს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისას მეტად წაადგება — აცხადებს ჰიდინკი და იმედი არის, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელები 1988 წლის მიღწევას გაიმეორებენ და კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტულს დაიბევებენ.






# ნეცერი ფოგთსს დაეხმარება

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა გუშინ განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის ხელახალ შენებაში მწვრთნელს ბერტი ფოგტსს ექსპერტებს დაახმარს.

ინტერვიუ, რომელიც ამ ინფორმაციას საფუძვლად დაედო, ბრაუნმა გაზეთ „ველტ ამ სონტაგს" მისცა. მასში ნათქვამია, რომ ფოგტსის მრჩეველთა ჯგუფში შევლენ წარსული დროების ცნობილი ფეხბურთელები, რომელთა შორის გიუნტერ ნეცერი იქნება.

„ამ ადამიანების დასახელება ამჟამად არ მინდა. მხოლოდ ერთს გავთქვამ — გიუნტერ ნეცერი, ის აუცილებლად გახდება მრჩეველთა ბრიგადის წევრი.

ნეცერი თავის დროზე დიდი ფეხბურთელი გახლდათ. ის მიონხენგლადბახის „ბორუსიას" გამთამაშებელი იყო. სახელი ნაკრებში თამაშითაც გაითქვა, გუშინ დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ტელეკომენტატორად მუშაობდა.

ბუნებრივია, მეოთხედფინალში ხორვატიასთან 0:3 დამარცხების შემდეგ აშკარა გახდა, რომ გერმანიის ნაკრებში ძირეული ცვლილებებია ჩასატარებელი. მწვრთნელს, ბერტი ფოგტსს გადადგომას უკიჟინებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სიაფეხბურთო კავშირი მაინც მის დატოვებას აპირებს თანამდებობაზე.

მას მერე, რაც ნაკრებში თამაშს თავი დაანებეს ისეთმა ვეტერანმა ვარსკვლავებმა, როგორებიც იყვნენ იურგენ კლინსმანი, იურგენ კოლერი და მათიას ზამერი, ფოგტსს ახალი ფეხბურთელები ჰყავს მოსაძებნი.

## ჩემპიონატის დღიური
### 11 ივლისი

ლაშა გოლოძე

FRANCE 98

# ვაჟკაცთა საკრებული



ხორვატია ამაყობს მათით. ესენი ხალხის თვალში გმირები არიან, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია

ასეთი რამ არ მომხდარა. არ ყოფილა შემთხვევა, მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მონაწილე გუნდს, დებიუტისთანავე საპრიზო ადგილისათვის მიელწიოს (პირველ მსოფლიოს ჩემპიონატს არ ვგულისხმობ. იქ ყველა დებიუტანტი გახლდათ). რაც სხვებისთვის მიუღწეველი გამოდგა, ხორვატებისთვის სავსებით მისაღწევი აღმოჩნდა — უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე მხოლოდ შესარჩევი ტურნირის ფლეი ოფის გავლით მოხვედრილმა ხორვატებმა სენსაცია მოახდინეს — გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილს შესწვდა.

დღევანდელი დღიური მთლიანად ხორვატებს ეთმობა. გუნდს, ისედაც ლამაზ ჩემპიონატს კიდევ მეტი ელფერი რომ შესძინა. აქამდე უსახელო, მაგრამ საკმაოდ ძლიერმა ხორვატიამ მესამე ადგილამდე უამრავი მეტოქე ჩამოიშორა და ათასნაირი ბარიერი გადალახა, საბოლოოდ კი მიაღწია იმას, რასაც ბევრი კარგი გუნდი ვერ შესწვდა — გახდე მესამე გუნდი მსოფლიოში, პატარა რამე არაა. კაცმა რომ თქვას, ეს მესამე პრიზიორობაც, გნებავთ მსოფლიოს ჩემპიონობა, პირობითია, მაგრამ ამასაც ხომ მიღწევა უნდა — სხვებმა ვერ შეძლეს, ბლაჟევიჩის ბიჭებმა კი მოახერხეს.

ერთი სიტყვით, ხორვატია გუნდია, სადაც მხოლოდ ნაღდი ვაჟკაცები თამაშობენ (წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმეწლიანი ომით გატანჯული ერის შვილები ასეთ შედეგს ვერ მიაღწევდნენ).

### ვაჟკაცსა გული რკინისა

ხორვატებმა თავისუფლება საშინელი



მიროსლავ ბლაჟევიჩი — ხორვატთა გონი და აზრი

ომისა და სისხლისღვრის შემდეგ ჰპოვეს. ძმურად დაშორებული ჩეხეთისა და სლოვაკეთისგან ხორვატების განცალკევება იუგოსლავიისა და სხვა პოსტიუგოსლავიური სახელმწიფოებისგან წლობით გრძელდებოდა. იმ საშინელი ხნის თანმდევი გახლდათ ომი, გაჭირვება, კაცთაჟლეტა — ყველაფერი ის, რაც ომს ახასიათებს. ხორვატია, მიუხედავად იმისა, რომ მან თავისუფლება საბოლოოდ მაინც მიაღწია, ჯერ კიდევ არაა დალაგებული ქვეყანა — კვლავ გრძელდება შინაომები, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ფეხბურთი იქ მაინც მაღალ დონეზე დგას, გნებავთ საკლუბო აიღეთ, გნებავთ სანაკრებო.

ამჯერად ქვეყნის ნაკრებით შემოვიფარგლოთ. ხორვატთა საფეხბურთო გუნდი ნამდვილ ვაჟკაცთა საკრებულოა. მოთამაშენი ყველა შეხვედრაზე მხოლოდ გასამარჯვებლად გადიან. ცხადია, ხანდახან ვერ აღწევენ მიზანს, მაგრამ მარცხითაც იშვიათად მარცხდებიან. ხორვატია ძნელად დასამარცხებელი გუნდია. ეს ბევრი რამითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, იმით რომ ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი აშკარად საქმის ზედმიწევნით მცოდნე კაცი ჩანს. გარდა ამისა, გუნდში არიან ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ ხორვატია რომ ძნელად დასამარცხებელი გუნდია, ამის მიზეზი ფეხბურთელთა გულადობაა, მათ მეტოქის არასოდეს ეშინიათ.

პირველი ოფიციალური ტურნირი, რომელშიც ხორვატებმა მიიღეს მონაწილეობა, ევროპის ორი წლის წინანდელი ჩემპიონატი გახლდათ. იქ, ინგლისში, ექსიუგოსლავიელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ მათი სახით, ევროპას და საერთოდ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი ძლიერი, ანგარიშგასაწევი გუნდი შეემატა. ხორვატებმა სენსაცია ჯერ კიდევ ევრო 96-ის შესარჩევ ტურნირში მოახდინეს — ფავორიტად აღიარებული იტალია სტუმრად დაამარცხეს, საბოლოოდ ჯგუფში იმარჯვეს და „სკუადრა აძურას" საჭოჭმანოდ გაუხადეს საქმე. ისე, კონტინენტის პირველობაზე, ჯერ იყო და ტიტულის შესანარჩუნებლად მებრძოლი დანია გაანადგურეს, მერე კი „გერმანული მანქანაც" გვარიანად ანერვიულეს.

ის ჩემპიონატი ხორვატებმა მეოთხედფინალში გერმანელებთან ძალიან დაძაბული და ამავდროულად უხეში შეხვედრის წაგებით დაასრულეს, მაგრამ, მიუხედავად მარცხისა, მათ გულებში ჩაისახა გამარჯვების იმედი. გუნდმა ალლო აუღო გრანდებთან ჭიდილს და მალე შედეგიც ჰპოვა — მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე, გზად კი მიწასთან გასწორებული ბუნდესნაკრები. ხორვატებმა 3:0 დაამარცხეს გერმანია, რომელთაც ასე 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ წაეგოთ. პატარა და ომით გატანჯული ერის შვილებმა სძლიეს იმ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს, არანაირი პრობლემა რომ არა აქვთ. შედარებისთვის შემდეგიც კმარა — ხორვატიაში 5 მილიონამდე ადამიანია, ამდენი კი გერმანიაში მხოლოდ რეგისტრირებული ფეხბურთელია...

— ჩვენ კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ თანამემამულეთა გულების გამხარებელნი ვართ. ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა უწყის იმ პასუხისმგებლობის შესახებ, ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში რომ აკისრებს. დაიცვა შენი ქვეყნის ღირსება, ამას დამსახურება უნდა, ხოლო რომ დაიმსახურო, ძლიერი უნდა იყო. ჩვენს შორის არავინაა მხდალი. ჩვენ ხორვატები ვართ, ხალხი, მუდამ გამარჯვება რომ სწადია — ეს სიტყვები ზვონიმირ ბობანის მიერაა თქმული. ხორვატთა ნაკრების კაპიტანი გულშემატკივართა შორის ყველაზე პოპულარული და საყვარელი ფეხბურთელია, მეტიც, იგი ეროვნული გმირია.

1990 წელს, როცა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ ზაგრების „დინამოს" შემადგენლობაში თამაშობდა, ზაგრებელთა ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანმა გულშემატკივრის დაცვის მიზნით პოლიციელს მუცელში ჩაარტყა ფეხი. ის მატჩი ჩაიშალა და იმდროინდელი იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის დაშლასაც დასაბამი დაედო.

ტელევიზია წარამარა აჩვენებდა, როგორ ეჩხუბება ბობანი წესრიგის დამცველს. იგი დასაჯეს. იმ წელიწადს იტალიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, მაგრამ ხორვატიაში იგი გმირი გახდა.

1991 წელს ხორვატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ახალშობილი ნაკრების კაპიტანსაც დიდი ძებნა არ დასჭირვებია — ხორვატიის ფეხბურთი ფედერაციამ, ამასთანავე მთელმა ხორვატმა ხალხმა კაპიტნობა ზვონიმირ ბობანს ანდო.

ბობანისნაირი მიროსლავ ბლაჟევიჩის გუნდში ბევრია — იქ, ქვეყნის პირველ გუნდში, ნამდვილი პატრიოტები თამაშობენ და ამიტომაცაა პატარა ისტორიის მქონე გუნდი ასეთი მიღწევებით რომ გამოირჩევა.

— ჩვენ უარს ვამბობთ პრემიალურ თანხებზე. სჯობს, ფული ომით დაზარალებულ თანამემამულეთ მოხმარდეთ. — ამ სიტყვებით ხორვატთა საუკეთესო ბომბარდირმა დავორ შუკერმა ნაკრების ყველა მოთამაშის გულისთქმა გამოხატა. კიდევ ერთი დამადასტურებელი ნაბიჯი ფეხბურთელთა ვაჟკაცობისა.

მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე უკლებლივ ყველა გუნდს თავისი ფედერაცია ამა თუ იმ მიღწევისთვის პრემიებს ჰპირდება. გამონაკლისი არც ხორვატთა ფეხბურთის მმართველი ორგანო გახლდათ, მაგრამ ნაკრების ფეხბურთელებმა პრემიები იუარეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა, ფეხბურთელები პრემიებს არ მიიღებენ. ასე თავად მოთამაშეებმა ისურვეს.

— ნაკრები წმიდათაწმიდაა. აქ უსაქმურებს ადგილი არა აქვთ. ვინც გუნდშია, ყველამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ ის სამშობლოს ღირსებას იცავს. ჩვენ ხორვატიის დროშის ფერები გვმოსავს, ეს კი ხუმრობა არ გეგონოთ. დროშა ჩვენი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია და ჩვენ, გნებავთ მწვრთნელებს, გნებავთ ფეხბურთელებს არ გვაქვს უფლება, შევურაცხყოთ სამშობლოს დროშა — მიროსლავ ბლაჟევიჩი არაა ის კაცი, გვერდით ფლიდი და უსაქმური დაიყენოს. ხორვატთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი მწვრთნელის პატრიოტიზმთან კარგად შეხამებული პრინციპულობაც გახლავთ.

ხორვატთა წარმატების მიზეზი პატრიოტიზმია. მათ კარგად აქვთ გათვითცნობიერებული რომ ისინი სამშობლოს ღირსებას იცავენ. მათ კარგად უწყიან, რომ მოედანზე მყოფი 11 ხორვატის უკან მილიონობით თანამემამულე დგას...

### იმ ღამით პარიზში...

ღამემდე იყო საღამო. ხორვატთათვის ძალიან მნიშვნელოვანი საღამო. უნდა გარკვეულიყო მესამე-მეოთხე ადგილოსანთა ვინაობა. უნდა გარკვეულიყო და გაირკვა კიდეც — ვერ ვიტყვი, ძალიან დაძაბულ თამაშში-მეთქი, მაგრამ საკმაოდ ლამაზ და სანახაობრივ მატჩში ხორვატიამ 2:1 აჯობა ჰოლანდიას და მესამე ადგილზე გავიდა. ეს მეტოქეთა პირველი დაპირისპირება გახლდათ მათ ისტორიაში. შეუპოვრობით განთქმულმა დებიუტანტებმა ბევრისთვის აზრდაკარგულ მესამე ადგილისთვის მატჩში ბოლომდე იბრძოლეს და მიაღწიეს იმას, რასაც მათ, უპირველეს ყოვლისა, სამშობლო, თანამემამულენი, მერე კი სპორტული სული ავალებდა — ხორვატიამ „მცირე ფინალი" მოიგო.



ყველა ხორვატმა იცის სამშობლოს დროშის ფასი, ბევრს კი ამის თაობაზე წარმოდგენა არ აქვს

— ჩვენ მივაღწიეთ საწადელს! დებიუტისთანავე მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორთა შორის მოხვდე, ურიგო რამ არაა, მეტიც, ეს ბრწყინვალე მიღწევაა. მართალია, ცოტა საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ სიძლიერეც ხომ იმაში ვლინდება, რომ შანსი, თუნდაც ერთი, გამოიყენო. მეტის შეგდებაც შეგვეძლო, ორითაც კმაყოფილი ვართ. ერთი-ორჯერ ლადიჩმა საუცხოოდ ითამაშა. ბედიც გვიღიმოდა. არ დაგავიწყდეთ ასეთ შეხვედრებში იღბალი მუდამ ძლიერთ ემხრობა! როგორც ჩანს, ხორვატია ღირსი იყო გამარჯვებისა — სენსაციის სულისჩამდგმელ მიროსლავ ბლაჟევიჩს მატჩიშემდგომ გაცემული ბლიც-ინტერვიუების დროსაც ეხურა ფრანგი ჟანდარმის ნაჩუქარი ქუდი. ბლაჟევიჩი, ისევე, როგორც მთელი გუნდი, ხარობდა. მათ ამის ყოველნაირი უფლება ჰქონდათ.

— ძლიერი მეტოქე, ბრწყინვალე სტადიონი, მატჩი მესამე ადგილისთვის, ამაზე მეტი სტიმული სათამაშოდ, ვფიქრობ, არცაა საჭირო. უბრალოდ, შეუძლებელია, ზემოთქმულის შემდეგ ცუდად ითამაშო. ჩვენ თავი დავდეთ, ხალხის გახარება გვეწადა, მიზანს მივაღწიეთ კიდეც. ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორია! — ეს ჯერაც დაუჯერებლად მეჩვენება! ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. ახლა მთავარია, დავორმა (შუკერმა) ბომბარდირის წოდება მოიპოვოს — ხორვატთა ერთ-ერთი უძლიერესი მცველი იგორ შტიმაცი სიხარულისგან იცრემლებოდა. მას ძალიან უნდოდა, წარმატება შინ, მშობლიურ ზაგრებში აღენიშნა.

— ბედნიერია ხორვატი ხალხი! ბოლო წლებში ჩვენ არაფერი გვქონდა სასიხარულო — ომი, სისხლისღვრა, გაჭირვება, ყოველივე ეს ჩემს თანამემამულეებზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ფეხბურთი ერთ-ერთი რამაა, რასაც შეუძლია ხალხი გააბედნიეროს. ჩვენ, უბრალოდ, არ გვქონდა უფლება, ეს მატჩი წაგვეგო. ბევრმა თქვა, ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ხორვატია ჩემპიონატზე ხელს ჩაიქნევსო. ჩვენ, ხორვატებს, ასეთი რამ არ გვჩვევია. გუნდი მუდამ იბრძოდა გამარჯვებისთვის, იბრძვის და იბრძოლებს კიდეც. ნაკრები — ეს წმიდათაწმიდაა. შეუძლებელია, სამშობლოს ღირსებას იცავდე და ძალების დაზოგვაზე ფიქრობდე — ბრინჯაოსმედალოსანთა კაპიტანი ზვონიმირ ბობანი შუკერის მეექვსე გოლის ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ. ამასთან ერთად, ბობანი ნაკრების გული და სული იყო.

„პარკ დე პრენსზე" თითქმის ორი საათი არ დაშლილან ხორვატთა ქომაგები — ჯერ იყო და გუნდი გამარჯვებას ზეიმობდა, მერე დაჯილდოების ცერემონიალი, შემდეგ კიდევ სხვა და ასე გასტანა გვიანობამდე. სტადიონიდან გასულ გულშემატკივრებს თამაშზე მოუხვედრელი სხვა ხორვატი ქომაგებიც შეუერთდნენ. მათი სიხარული შუაღამემდე გრძელდებოდა. ხარობდნენ პარიზში მყოფი ხორვატები — მათმა საყვარელმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორობა შეძლო.

...ფრანგ სამართალდამცავებს გულშემატკივრებისგან ხშირად ექმნებოდათ პრობლემა. 11 ივლისს, ღამით მათ და ხორვატ ქომაგებს შორის სრული ურთიერთგაგება სუფევდა.

### ...და ზაგრებში

ბევრჭირნახული ზაგრები. ხალხით გადაჭედილი ქუჩები. ხორვატები — ბავშვები, ახალგაზრდები, ხანშიშესულები, ქალები და, რა თქმა უნდა, კაცები სიხარულისგან მეცხრე ცაზე არიან. ზაგრები იმ ღამით დედამიწის გულად იქცა. სამყაროს მაჯისცემა ყველაზე მკაფიოდ სწორედ ზაგრებში ისმოდა.

ხარობდნენ ხორვატები. ხალხი, რომლებიც რამდენიმე წლის წინ დამოუკიდებლობისთვის სისხლს ღვრიდნენ, ხალხი, რომლებმაც უამრავი გაჭირვება გადაიტანეს, ხალხი, რომლებისთვისაც ესოდენ მნიშვნელოვანი გახლდათ გუნდის გამარჯვება.

— ჩვენ გავიმარჯვეთ! სხვებისთვის ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი იქნება, ჩვენთვის კი საყვარელი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონია! ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონია! — ზლატკო პერეჩეკს გაგიჟებას ცოტა უკლდა.

— ისინი გმირები არიან! ხორვატიამ უნდა იამაყოს თავისი ფეხბურთელებით. — ველიკო პალიჩს, თავის დროზე ზაგრების „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერს, ახლა კი შვიდ ათეულ წელს მიტანებულ, ჭაღარაშეპარულ მოხუცს ცრემლების დამალვა არც უცდია.

იქ, ხორვატიაში, სიხარული მეფობდა. ერთეულთათვის ნაცნობი და ბევრისთვის ნანატრი გრძნობა.

# ფეხბურთს ვერავინ დაამარცხებს!

დასაწყისი პირველ გვერდზე



ხორვატმა სპორტსმენებმა სამშობლო გამარჯვებებს შეაჩვიეს

მაგრამ ვის გაუმარჯვია ფეხბურთზე... და შევუერთდი უფლისწულთა პარკისკენ მიმავალ მრავალათასიან არმიას. თან ვიმედოვნებდი — ორივე გუნდი ღია, შემტევ ფეხბურთს უპირატესობას, თავადაც თამაშობენ და მეტოქესაც აძლევენ თამაშის საშუალებას. ორივე გუნდში არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები და რა ღმერთი გაუწყრებათ, გულშემატკივრებს იმედი გაუცრუონ! იქნებ, გოლების წვიმაც კი იყოს და მოიხსნას მესამე ადგილისთვის მატჩების უხვგოლიანობის რეკორდი — 1958 წელს, როცა საფრანგეთის დიდმა გუნდმა ფონტენის და კოპას თამადობით 6:3 სძლია გერმანელებს. სხვათა შორის, ნახევარფინალში ბრაზილიასთან მძიმე მარცხის შემდეგ.

მატჩის წინა დღეს საზოგადოებას ეუწყა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხორვატი ფანებისთვის ორგანიზატორებმა შეძლეს ოთხასი შედრებით იაფფასიანი ბილეთის დამატებით გამოყოფა. პასპორტისა და ფრანგული ან ხორვატული ნაღდი ფულის გარეშე არ მოგცემთო — აფრთხილებდნენ.

„მცირე“ ანუ „სანუგეშო“ ფინალი წარიმართა გუნდების მწვრთნელთა მიერ პროგნოზირებული სათამაშო სცენარით: მიროსლავ ბლაჟევიჩი მოკლე და კონკრეტული იყო: „ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაც ღირს.“ ხომ ხედავთ, როგორი თავდაჯერებულობა და ოპტიმიზმია, როგორი რწმენა, გმარჯვების როგორი სურვილი! დებიუტია და, ბრინჯაოც გვეცოტავება, თვალში არ მოგვდის, პატივმოყვარეობას და ღირსებას არ გვიკმაყოფილებს ვითომ?

მაგრამ რატომ გვიკვირს? მიეჩვია უკვე ხორვატია და მისი ხალხი გამარჯვებებს, ტემპი აღებულია, ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა... და კვლავაც „ოცნებით ვიფრინოთ მაღლა!“

ახლა კი მოვუსმინოთ გუს ჰიდინკს, ჰოლანდიელთა თავკაცს: „ჩვენი ფეხბურთელების ამ მატჩით დაინტერესება ძალიან ძნელია. ამჯერად ყველა სათანადო განწყობისა და მოტივაციის შესაქმნელად ვმუშაობთ. შევძლებთ კი?“

ვერ შეძლეს. და თითქოს საჩემპიონო გუნდი ტიტების ქვეყანაში მედლების გარეშე ბრუნდება.

ხომ არ შეიძლება სპორტი, ფეხბურთი ინტრიგისა და სენსაციის გარეშე. სენსაციაც შედგა! ხორვატიის სპორტის მატიანე ახალი და ბრწყინვალე ფურცლით შეივსო.

არ გამართლდა „ეკიპში“ ანონსირებული ბერხკამპის სიტყვები — მე ჩემპიონატი კარგად უნდა დავამთავრო, წინა მატჩი ჩავაფლავე და სხვა რაღა დამრჩენია, კარგი თამაშის გარდაო.

ეს მატჩიც ჩააფლავა დენისმა. იგი მაინც ერთი მატჩის მოთამაშე გამოდგა. იქნებ, ჩემპიონატის დაწყების წინ რამდენიმე თვე რომ არ უვარჯიშია, ამის ბრალიცაა? კლუივერტმა ისევ დაგვიმტკიცა, რომ ნაღდი, გასატანი გოლების გაფუჭების კარგი ოსტატია. ვან დერ სარმა გუნდი ამჯერადაც ვერ იხსნა.

და საერთოდ, ჰოლანდიელებსაც ის ბედი ეწიათ, რაც გერმანელებს და რაც ნაწილობრივ ფრანგებსაც სჩვევიათ — იწყებენ, უტევენ, საკუთარ დაცვას აშიშვლებენ, საფრთხეს არ ეპუებიან, სიფრთხილის გრძნობას კარგავენ და წინ თამაშით ერთობიან. შანსი გაუშვა კლუივერტმა, სწრაფი კონტრშეტევა, რიცხობრივი უპირატესობა ჰოლანდიელთა კართან და გოლი. მეორე გატანილი გოლის დროსაც იგივე სცენარი — სამი ხორვატი ორი მცველის წინააღმდეგ და ისევ გოლი. დინჯი ინგლისელები ამბობენ ხოლმე, უზომოდ ფიცხი ცხენი ფინიშამდე ვერ მიაღწევსო. ასე დაემართა ბევრ გუნდს ამ ჩემპიონატზე, ნაწილობრივ უდავოდ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ნარინჯისფერთა“ ნაკრებსაც. გამართლდა ფიფას მიერ ათი ათაი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმებულ ჰოლანდიელთა მწვრთნელის ჰიდინკის შიში — გუნდს მოტივაციაც და კონკრეტიკაც აკლდა და ცივმა გონებამაც უღალატა.

ისე, ბევრი ჟურნალისტის პროგნოზიც არ იყო ჰოლანდიელთა სასარგებლოდ. „გაძეტა დელო სპორტი“, „ლა რეპუბლიკა“, „ლიბერასიონი“ და სხვები წერდნენ, ჰოლანდიას უდავოდ კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთო. „ინტერნეიშნელ ჰერალდ ტრიბუნმა“ კი მატჩის დღეს სათაურითვე გვამცნო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ხორვატები უკეთ ითამაშებენო.

დამეთანხმებით ალბათ, საშუალო დონის ფეხბურთი აჩვენეს გუნდებმა, რომელთა პოტენციური შესაძლებლობანი გაცილებით მეტია. დაახლოებით თანაბარ თამაშში კი ხორვატებს აღმოაჩნდათ ლიდერი, რომელმაც მატჩი მოიგო. შუკერმან VI-მ, როგორც დავორ შუკერი მონათლა „ეკიპმა“, არათუ ამ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა, არამედ სერიოზული განაცხადიც გააკეთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობაზე. მისი დამწევად ან გამსწრებად შეიძლება რონალდო ვიგულოთ. საამისოდ მას ორი და მეტი ბურთის გატანა მოუწევს ფაბიან ბარტეზის კარში. ასეთი რამ ფინალურ მატჩში იშვიათად ხდება. თეორიული შანსი სამ ბრაზილიელს და ერთ ფრანგსაც აქვს, მხოლოდ თეორიული, ალბათ.

„ეკიპმა“ „მცირე“ ფინალი მხოლოდ სამი ვარსკვლავით შეაფასა და სართოდ ამ შეხვედრას ფეხბურთისადმი მიძღვნილი 18 გვერდიდან ერთი გვერდიც კი არ დაუთმო. მოთამაშეებმა საშუალო ბალი დაიმსახურეს. ორივე გუნდიდან ყველაზე მაღალი ქულა დაუწერეს ხორვატთა მეკარეს ლადიჩს. მე თუ მკითხავთ, მოედანზე მყოფ ფეხბურთელთა შორის ამ ყველაზე ასაკოვან სპორტსმენს იღბალიც ჰქონდა ოსტატობასთან ერთად. აბა, დავთვალოთ, რამდენჯერ მოხვდა თითქოს გაშვებული ბურთი ხან თავში და ხან ფეხში. „ეკიპმა“ ყველაზე დაბალი შეფასება მისცა ჰოლანდიელთა ორივე თავდამსხმელს — ბერხკამპსა და კლუივერტს — მხოლოდ 4-4.

ნიშნების დაწერაში უფრო ლმობიერია „ლა გაძეტა დელო სპორტი“. მან ოთხ ხორვატს, ლადიჩს, ბობანს, პროსინეჩკის და შუკერს 7-7 ქულა არგუნა. მოწინააღმდეგე გუნდიდან ასეთი შეფასება გოლის ავტორმა ზენდენმა დაიმსახურა, რომელიც მართლა გამოირჩეოდა აქტიურობითა და შესრულებული სამუშაოს მოცულობით.

...დარწმუნებული ვარ, ამჯერად ნაკლებად თუ ვინმეს აინტერესებს მესამე ადგილისთვის მატჩის პერიპეტიები. ახლა ფინალის ჟამია, თქვენ უკვე შედეგიც იცით. უშუალო შთაბეჭდილებები მომდევნო „სარბიელში“. მხოლოდ ორი დაინტერესებული პირის პროგნოზს გეტყვით: პელე — მოიგებს ბრაზილია! პლატინი — ანგარიშით 2:1 მოიგებს საფრანგეთი.

თქვენ, ბატონო მკითხველო, უკვე იცით, რომელი მათგანი აღმოჩნდა წინასწარმეტყველი.


ბერხკამპი ბევრს კი იქადნებოდა, მაგრამ ეს მატჩიც ჩააფლავა


სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

რუსეთის ჩემპიონატი. XVI ტური

15 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ზენიტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტიუმენი — ლოკომოტივი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| ტორპედო — შინიკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ცსკა — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბალტიკა — დინამო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კრ. სოვეტოვი — ჟემჩუჟინა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ურალანი — ალანია | 2,5 | 2,8 | 2,1 |
| როტორი — როსტსელმაში | 1,5 | 3,3 | 6,0 |

დღეიდან, 13 ივლისიდან კროკო იმუშავებს ძველი განრიგით: ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდება.



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# უკან, მომავალში

დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი. ტენორებმაც, ასე ვთქვათ და, იმღერეს. გამარჯვებულებმაც იმღერეს, გაივლის ორი დღე და დამარცხებულებიც იმღერებენ.

სიმართლე ითქვას და, ამ სვეტს ფინადამლე ზუსტად სამი საათით ადრე ვწერ. ამიტომ, ჯერ არ ვიცი, ვინ იქნება გამარჯვებული. რა თქმა უნდა, შემეძლო ფინალს დავლოდებოდი და ასე ვთქვათ, ოპერატიული შთაბეჭდილებებით გამევსო სამი სვეტი, მაგრამ ოპერატიულსა და საჩქაროს ამ გაზეთში სხვასაც ბევრს ნახავთ, ამიტომ არაფერი უშავს, თუ სამი საათით ადრე გავისაუბრებთ.

რატომ უნდა მოეგო ბრაზილიის ნაკრებს?

ან რატომ უნდა მოეგო საფრანგეთის ნაკრებს?

ორივეს ჰქონდა მოსაგები. ორივეს შეეძლო მოეგო.

ფინალის წინ მეგონა, რომ ფინალი იქნებოდა მთელი ჩემპიონატის ლოგიკური დასასრული. ესე იგი, გოლი თუ გავიდოდა, აუცილებლად მეორმოცედან ორმოცდამერვე წუთამდე. ან კიდევ, ოთხმოცდამეშვიდედან — ოთხმოცდამეთოთხმეტემდე. ყვითელი ბარათი ოთხი იქნება. წითელს არავის უჩვენებენ. არსებობს შანსი 3:1-ზე, რომ დამატებითი დრო იქნება. არსებობს შანსი 4,5:1-ზე, რომ საქმე პენალტებამდე მივა. თუ ბრაზილიელები გაიტანენ, გოლის ავტორი ან ბებეტო იქნება, ან რივალდო. ან რივალდო და რონალდო ერთად. თუ ფრანგები შეძლებენ გატანას, ერთს აუცილებლად ზიდანი შეაგდებს. ერთს ზიდანი და ერთს გივარში. დიახ, გივარში. თუ გოლი საერთოდ გავა ამ ფინალურ მატჩში, ანგარიშს ფრანგები გახსნიან.

აი, ასეთ სისულელეებს ვფიქრობდი და თუმცა პროგნოზის წინააღმდეგი ვარ, პატარა პროგნოზების გარეშე მაინც ვერ გადავრჩი.

აბა, რა გამართლდა?

ოთხი წლის შემდეგ კი ჩემპიონატი შორეულ მხარეში გაიმართება. იქაური ფინალის ფსონიც კი არსებობს ერთ უცხოურ ტოტალიზატორში, მაგრამ ფულს ჯერ არავინ შესულა. ერთმა ინგლისელმა კი ასეთი სანაძლეოც კი დადო: 2014 წელს ჩემი შვილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიტანს გოლსო.

ჩვენ კი თვალწინ მეოცე საუკუნის უკანასკნელი ფინალი გვქონდა და რა დასამალია და, ეს ოცდამეერთე საუკუნის საფეხბურთო თარიღები მაშინებს კიდეც.

აბა წარმოიდგინეთ, 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატი ან გერმანიაში უნდა გაიმართოს, ან ინგლისში, თუმცა, როგორც ჩანს, უფრო აფრიკაში ჩაატარებენ.

იმ ჩემპიონატზე რონალდო ოცდაათი წლისა იქნება, მაიკლ ოუენი — ოცდაექვსისა.

დღეს მოთამაშე-ფეხბურთელთა სრული უმრავლესობა კი დამსახურებულ და მდიდარ ძიად წარმოგვიდგება. აი, სწორედ ეს არის საინტერესო — როგორები იქნებიან ახალი საუკუნის ფეხბურთელები? როგორი იქნება მათი თამაში?

ფეხბურთი მეოცე საუკუნეში არ დაწყებულა და არც ამ მეოცეში დამთავრდება, მაგრამ ერთი კია, რომ ფეხბურთი არასგზით არ უნდა იქცეს სატელევიზიო თამაშად. ფეხბურთის სატელევიზიო თამაშად ქცევის ტენდენცია უკვე შეიმჩნევა. ამ ჩემპიონატზე ხომ უცხოელებს ძალიან შეზღუდულად დაურიგეს ბილეთები და ერთი ამბავიც ატყდა. ფეხბურთის საყურებლად უცხო მხარეში წასვლას კი ბევრი არაფერი სჯობს ამქვეყნად. რაც არ უნდა დიდი ტელევიზორი იდგას შუა პარიზში, რაც არ უნდა ქაფქაფა ლუდს ასხამენ გლაზგოს პაბებში და რაც არ უნდა გასაგიჟებელ გოგოსთან ერთად ცეკვავდე სამბას თამაშის ეკრანზე ყურებისას, ვერაფერი შეედრება მინდვრის მაგიას. ვერაფერი შეცვლის ცოცხალი თამაშის ცქერის ჯადოს.

ამასწინათ, გრემ ლე სოს ერთი ინტერვიუ წავიკითხე და ეს ფეხბურთელი პირდაპირ ამბობს, ამ ხნისა მოვიყარე, ლამის თხუთმეტი წელიწადია პროფესიულ ფეხბურთში ვარ და ტელევიზორში ნანახი თამაშისთვის ერთხელაც არ ჩამიტანებია გემოო. ჩვეულებრივი გულშემატკივრისთვის ეს ნამეტანია. გულშემატკივარი იმის გულშემატკივარია, რომ ფეხბურთი ყველგან ეძებოს, ეზოშიც, ტელევიზორშიც და სუკონკაზეც.

გუშინ კი ფინალი იყო. ფინალი, რომლის შედეგიც, სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, ჩემთვის უცნობია.

და უცებ ვიფიქრე — არ ღირს ტელევიზორთან ერთი საათით ადრე დაჯდომა. ამას სჯობს, აივანზე გახვიდე და უყურო, როგორ აგორებენ ბავშვები ბურთს გაცხელებულ ასფალტზე. გუშინწინ ქუთაისში ფეხბურთი იყო, ახლა ისიც კი ვინანე, ნეტავ სარედაქციო ბრიგადას გავყოლოდი და ტრიუბნაზე დავმჯდარიყავი-მეთქი. იცით რატომ? მინდვირს, ცოცხალი ფეხბურთის, სტადიონის მონატრებით. თორემ ფეხბურთი და მეტად კარგიც, იმ საღამოსაც იყო ტელევიზორში. ერთი თვეა, ფეხბურთს ვუყურებთ ტელევიზორში და სიმართლე ვთქვა, ამაში კი უნდა დაეთანხმოს კაცი ზეპ ბლატერს — ჩემპიონატი ძალიან გრძელია.

არა, ფეხბურთის ყურება სულაც არ არის მოსაბეზრებელი რამ, მაგრამ ოცდათორმეტი დღე, ოცდათორმეტი გუნდის თანხლებით, ჩემმა მზემ, კურორტი სულაც არ არის. ფეხბურთელებისთვის არც უნდა იყოს კურორტი, არც ჟურნალისტებისთვის, მაგრამ ჩვენთან ხომ გულშემატკივრობის და ფეხბურთის სიყვარულის იმგვარი ადათი მეფობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი უწმინდეს რამედაა აღიარებული და მისი რომელიმე თამაშის გამოტოვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია შესაძლებელი.

ფეხბურთის ტელერეპორტაჟების ცქერას ერთი თვისებაც აქვს: ერთმანეთის მიყოლებით გადმოცემული რეპორტაჟები კარგის და ცუდის მკვეთრად გამიჯვნის უნარს უქვეითებს მაყურებელს. ეს თავად გამომიცდია. მესამე თამაშის ცქერა ყოველთვის უკიდურესად მომაბეზრებელი და თვითმიზნურია ხოლმე.

მაგრამ ახლა ამის გამო განსჯა, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა.

წინ ფინალია.

უფრო სწორად, ფინალი უკვე უკანაა.

დაახლოებით ასე გამოდის: უკან — მომავალში.

ახლა იმასაც იფიქრებ კაცი, ფინალის საუკეთესო ფეხბურთელი ვინ გამოდგება-თქო. ვინც არ უნდა გამომდგარიყო, ის ხვალის, მომავალი საუკუნის ფეხბურთელია.

მომავალი საუკუნის ჩემპიონატებს კი ჩემთვის უკვე ნახსენები ლოზუნგის მეშვეობით ვუყურებ.

უკან — მომავალში!

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთი როლენბოლს არ უნდა დაემსგავსოს. რაც რომ კარგი იყო ამ ჩვენი საუკუნის ფეხბურთში, იმ საუკუნესაც უნდა გადაწვდეს და ამასთან ერთად მომავალსაც ლაღად შეხედოს. მაისურების ზურგებზე აღბეჭდილი გვარები არ უნდა იქცეს ფეხბურთელის ვინაობის ამოცნობის საშუალებად.

ეჰ, იყო დრო, როცა ფეხბურთელებს გვარები არ ეწერათ ზურგზე. ისეთი დროც იყო, როცა არათუ გვარები, არამედ ნომრებიც კი არსად ჩანდა. მაშინ ფეხბურთელებს მათი სათამაშო პოზიციების მიხედვით ცნობდნენ. იტყოდნენ: „უჰ, რა კარგია ის მარჯვენა ინსაიდი“ და ასე.

მაშინ ფეხბურთელს ტელევიზიით არ გადმოსცემდნენ. გუნდები გემებით დაცურავდნენ ერთმანეთთან სათამაშოდ. ახლა იმ ფეხბურთს გულუბრყვილოს და იოლს უწოდებენ. იმ ფეხბურთის გარეშე კი არ არსებობს დღევანდელი ფეხბურთი. რა თქმა უნდა, არც ხვალინდელი იარსებებს.

ამიტომ, ერთი კარგი ხიდია საჭირო.

თუმცა, თქვენ უკვე ნახეთ ფინალი.

კმაყოფილნი ხართ? თუ უკმაყოფილონი?

აბა რა ვიცით ახლა, ფინალის წინ, მაინც მგონია, რომ ფეხბურთს მეტი და სხვანაირად შეუძლია.

თუმცა, ეგებ უკვე შევცდი.



სახალისოა, არა? მაგრამ უამისოდ არც დღევანდელი ფეხბურთი იქნებოდა

## ფეხბურთი

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელ** სამუელ კუფურს, რომელიც მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავს, მალარია შეეყარა და დროებით დასვენება მოუწევს. 21 წლის მცველი მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს და ინტენსიურად მკურნალობენ. კუფურის ავადმყოფობამ „ბაიერნის“ ბაზაზე მყოფნი ერთობ შეაშფოთა, თუმცა ექიმებმა ყველა დაამშვიდეს, საშიში არაფერიაო. „სამის ტაბლეტებით ვუმკურნალებთ და იმედია, ერთ კვირაში ჯანმრთელი დაგვიბრუნდება“ — განაცხადა კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა ჟურნალისტებთან საუბრისას. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელმა გასული სეზონის დასაწყისშიც ექვსი კვირა შეისვენა და ამის მიზეზი მაშინაც ტროპიკული დაავადება იყო.

**გერმანელმა მარიო ბასლერმა მიუნხენის „ბაიერნიდან“ წასვლა გადაიფიქრა. მას პრემიერ-ლიგის „ნიუკასლი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ინგლისელებს საბოლოოდ უარი შეუთვალა. ფეხბურთელმა ეს გადაწყვეტილება კლუბის მწვრთნელად ახალდანიშნულ ოტმარ ჰიტცფელდთან ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ მიიღო. „ჩვენ საკმაოდ გულახდილად ვისაუბრეთ, არა მარტო მომავალ, არამედ გასულ სეზონზეც. ვიცი, შარშან ჩემი გულშემატკივრები ვერ გავახარე, მაგრამ ვპირდები, რომ მომავალში ყველაფერს გავაკეთებ მათთვის უსაზღვრო ბედნიერების მისანიჭებლად. ჩემთვის პრობლემა არც სათადარიგოებში ყოფნა და არც შეცვლებზე შესვლა იქნება, მაგრამ როცა მოედანზე გავალ, გუნდისთვის ყველაფერს გავიღებ“ — განუცხადა ჟურნალისტებს 29 წლის ნახევარმცველმა. მან ისიც დაამატა, რომ არ ეშინია მეჰმედ შოლთან და შტეფან ეფენბერგთან კონკურენციის და ბევრ ოფლს დაღვრის ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად. მარიო ბასლერი გერმანიის ნაკრების წევრიცაა, მაგრამ ბერტი ფოგტსმა ცუდ ფორმაში ყოფნის გამო არ წაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე.**

## რუსები გვქომაგობენ და გვაფრთხილებენ



1998 MOCKBA

მოსკოვში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე დასასწრები ბილეთების შოვნა გულშემატკივართათვის დიდი პრობლემა გამხდარა. მართალია, ისინი სანამ წინასწარი შეჯიბრებები მიმდინარეობს, სპორტულ ბაზებზე მისვლით თავს არც იწუხებენ, მაგრამ არიან გამონაკლისნიც, რომლებიც გამწარებულნი დაეძებენ ბილეთებს, მათ შორის, ჩვენი აქ მცხოვრები თუ სტუმარი თანამემამულენი. მათი მოპოვება კი შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ ბილეთები არ იყიდება. მათ, უბრალოდ, რაიონების მიხედვით ანაწილებენ. ანაწილებენ სკოლის მოსწავლეებზე, რათა მოწაფეებით შეავსონ ტრიბუნები. სამაგიეროდ, მათ ჩუქნიან მაისურებს და დღეში ორჯერად კვებას უნიშნავენ. ვერ გეტყვით, მოსწავლეთა მენიუ რამდენადაა დამოკიდებული კარგ თუ ცუდ გულშემატკივრობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ხმის ჩახლეჩამდე ქომაგობენ.

ერთი სიტყვით, ტრიბუნებზე დაქირავებული გულშემატკივრები არიან.

უფრო უცნაური ისაა, რომ ეს ბავშვები, როგორც ესეთი, ჩვენს ფეხბურთელებს ერთი ვაი-უშველებელით ამხნევებენ: „გრუზია, გრუზია, გამარჯობა, გრუზია!“ და მისთანები. თანაც ეს ბავშვები ცხვირ-პირმოხატულები არიან. ერთ ლოყაზე რუსეთის დროშა მიუხატავთ, მეორეზე — საქართველოსი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ისინი ჩვენს საქომაგოდ უფროსთა მიერ არიან დარიგებულ-გაწვრთნილნი, ის უფროსები კი გვეუბნებიან, აბა, თქვენ იცით, ფინალში რუსებმა და ქართველებმა უნდა ვითამაშოთო. ამიტომ გუშინ საქართველოსა და თურქეთის გუნდების შეხვედრაში, რომელსაც სატურნირო თვალსაზრისით მხოლოდ ჯგუფში გამარჯვებული უნდა გამოევლინა, იმ ცხვირ-პირმოხატულმა ბავშვებმა ისეთი მონდომებით იჭყივლეს „გრუზია, გრუზია!“ რომ მართლაც წელებზე ფეხი დაიდგეს, რათა ჩვენებს გაემარჯვათ და რუსეთ-საქართველოს გზები დროზე ადრე არ გადაკვეთილიყო.

საქმე ის იყო, რომ რუსეთის გუნდი C ჯგუფში საუდის არაბეთის ნაკრებთან ბოლო შეხვედრის ანგარიშის მიუხედავად პირველ ადგილზე გადიოდა. ქართველებს კი საამისოდ უთუოდ უნდა დაემარცხებინათ თურქი თანატოლები, რომლებსაც ჩვენსავით ორი მოგება ჰქონდათ, ოღონდ მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდებით ლიდერობდნენ. ჩვენებურები მარცხის ან ფრეს შემთხვევაში მეოთხედფინალში რუსეთს უნდა გადაჰყროდნენ. ამგვარი პერსპექტივა ჩვენი დელეგაციისა და თავად ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებსაც მეტად აფრთხობდა. ამ მხრივ რუსებს თურქებიც მეტად დაუფრთხიათ, ამიტომ ჩვენებმა და ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა ამ წვიმაში მედგარი ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ ბურთი ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიტანა. ეს თურქთათვის, რა თქმა უნდა, გამარჯვების ტოლფასი ფრე იყო, რამაც ისინი ერთობ გაახარა.

მათი შეხვედრა სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. იერიშები პრაქტიკულად საჯარიმოს მისადგომებამდე იფუშებოდა. ბურთს კი უფრო სწორად თურქები ფლობდნენ, რომლებიც საკმაოდ ტექნიკურნი ყოფილან. განსაკუთრებით მე-13 ნომერმა, ტანმორჩილმა ეიეპ კაიმაქჩიმ დაგვამახსოვრა თავი. თუმცა თურქებმა რამდენადმე სახიფათო მომენტი ჩვენს კართან ვერ შექმნეს, ქართველების სამი-ოთხი შეტევა კი საკმაოდ მწვავე და სახიფათო გამოდგა.

მეორე ტაიმიც დაახლოებით იგივე სცენარით წარიმართა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ბურთს ისე ხშირად აღარ აგორებინებდნენ მეტოქეს.

თამაში იწურებოდა. ქართველები, როგორც იტყვიან, გოლს ამწიფებდნენ, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე დაახლოებით ათიოდე წუთით ადრე ოთარ ხიზანიშვილმა სრულიად უმტკივნეულო სიტუაციაში, უადგილო ადგილას, ლამის ცენტრალური და აუტის ხაზების გადაკვეთასთან მოულოდნელად უხეშად ითამაშა, რისთვისაც მეორე ყვითელი და წითელი ბარათიც დაიმსახურა. ამის მერე თურქებმა ზედიზედ სახიფათოდ შემოგვიტიეს, მაგრამ ქართველთა საპასუხო „ლაშქრობა“ უფრო მძაფრი აღმოჩნდა. ამაოდ — ისინი უკვე იმდენად დაღლილები ჩანდნენ, რომ დამაგვირგვინებელი დარტყმა მეტად სუსტი გამოსდიოდათ.

მეოთხედფინალური შეხვედრები 14 ივლისს გაიმართება. იქ ჩვენი მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება და, ვინ იცის, იქნებ იგი ისეთი საშიში არც გამოდგეს, როგორც ჩვენებს წარმოუდგენიათ.

D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 5 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 0 | 2 | 7-4 | 2 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 10-3 | 4 |
| საუდეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 2 |
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 |

### ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 11-12 ივლისი

INTERTOTO CUP

ინკარასი (ლიტვა) — *ვერდერი (გერმანია)* 0:1 (1:4)
*შინიკი (რუსეთი)* — ტურკუ (ფინეთი) 3:2 (2:0)
*ესპანიოლი (ესპანეთი)* — ბობი (ბრნო, ჩეხეთი) 2:0 (3:5)
*ვორსკლა (უკრაინა)* — აბ კოპენჰაგენი (დანია) 1:1 (2:2)
სენტ გალენი (შვეიცარია) — *ზალცბურგი (ავსტრია)* 1:0 (1:3)
ერებრუ (შვედეთი) — *ვოევოდინა (იუგოსლავია)* 0:2 (0:2)
კონგსვინგერი (ნორვეგია) — *ტვენტე (ჰოლანდია)* 0:0 (0:2)
ტაურისი (სლოვაკეთი) — *სამპდორია (იტალია)* 1:0 (0:2)
ლუნგბიუ (დანია) — *სამსუნსპორი (თურქეთი)* 3:1 (0:3)
დიოშდიორი (უნგრეთი) — *ალთაი (თურქეთი)* 0:1 (1:1)
*რუხი (პოლონეთი)* — ორგრიტე (შვედეთი) 1:0 (1:2)
*ბალტიკა (რუსეთი)* — ოზეტა (ტრენჩინი, სლოვაკეთი) 0:0 (1:0)
*ნაციონალი (რუმინეთი)* — ირაკლისი (საბერძნეთი) 3:0 (1:3)
*ბასტია (საფრანგეთი)* — მაკედონია (სკოპიე, მაკედონია) 7:0 (0:1)
ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — *დებრეცენი (უნგრეთი)* 1:1 (0:0)

# არა შეჯდა მწყერი ხესა

## რატომ უნდა გვრცხვენოდეს

თითქოს უცნაურიც არაფერი მომხდარა, ბურთი მრგვალია და ფეხბურთიც მოულოდნელობებით აღსავსე თამაშია, მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, რომ ფეხბურთი ლოგიკას მოკლებული გახლავთ.

რაც გუშინწინ „გივი კილაძეზე“ მოხდა, მსგავსი არაერთ ევროპულ გრანდს განუცდია, მაგრამ მხოლოდ ტოლ-სწორთა ბრძოლაში, მაშინ, როცა ერთმანეთს საფეხბურთო კორიფეები ეჭიდებოდნენ.

„ტორპედომ“ კი სირცხვილი ჭამა. ისევ თავისმოჭრა. თან ვისთან, „ლომელთან“, რომლის ძლევა, თანაც დამაჯერებლად, ქუთაისურ კლუბს არ უნდა გასჭირვებოდა. რა გუნდია „ლომელი“? საშუალოზე დაბალი კლასის ბელგიური კლუბი, რომლის რიგებში საპენსიო ასაკს გადაცილებული ფეხბურთელები თამაშობენ. ხმამაღლა ვერც განაცხადებენ, ფეხბურთელები ვართო, რადგან მსოფლიოში სხვები ბატონობენ. „ლომელი“ ის გუნდია, რომელმაც კარგად იცის თავისი ადგილი, ჩვენ კი ისევ რალაც გვეშლება.

ბელგიელები მხოლოდ ერთ რამეში გვჯობნიან. ისინი პროფესიონალები არიან და ცდილობენ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, ჩვენც პროფესიონალები ვართო, მაინც მოყვარულებად დავრჩებით. საქმეებს ავაწყობთ, პირველ წარმატებასაც მივაღწევთ, მერე საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას შევიქმნით, მხართეძოზე წამოვგორდებით და ბოლო გვავიწყდება, წარმატებით დაწყებული საქმის ბოლო.

ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს, რადგან მუდამ სირცხვილნაჭამები დავიარებით. ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, მხოლოდ ჩვენ საკუთარ უბედურებაზე გვიხდება გზის გაკვალვა. არავის ვუჯერებთ, არავისი გვესმის, ჩვენი კოკა მუდამ შუა გზაზე ტყდება. ჩვენ ზარმაცები ვართ, სწავლა და შრომა გვეზარება. მუდამ უშრომლად ვაპირებთ ფონს გასვლას და ამიტომაც უნდა გვრცხვენოდეს.

„ტორპედო“ პირველი როდია სირცხვილნაჭამი. ადრე „მარგვეთიც“ იყო, თუმცა ზესტაფონელთა მარცხი ხომ გაუგონარი გახლდათ. ამ მხრივ ქუთაისელები უკეთეს სიტუაციაში აღმოჩნდნენ, თუ საერთოდ უკეთესობაზე შეიძლება საუბარი.

გუშინწინდელმა მარცხმა საბოლოოდ დაგვარწმუნა ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის გაუმართაობაში. აქამდე ვამბობდით, ფეხბურთი სულს ღაფავს, შველას ითხოვსო. ჩათვალეთ ფეხბურთი მოკვდა, აღარ გვაქვს და სანამ ქართულ ფეხბურთში რევოლუცია არ მოხდება, ასე ვივლით ევროპაში სირცხვილნაჭამი და თავმოჭრილი. განა „ტორპედო“ პირველია, ანაც უკანასკნელი. მსგავსი ამბები წინ არაერთი გველის, თუ- „თუ“ საქმეს არასდროს შველის. მუდამ სხვათა იმედად ცხოვრებამ კი ამ დღეში ჩაგვაგდო.

აი, ყველაფერი ის, რისი მიზეზითაც უნდა გვრცხვენოდეს, მაგრამ გვრცხვენია კი?! რატომღაც ეჭვი მეპარება.

## საცოდავები და გულმოკლულები

საცოდავია „ტორპედო“, უფრო სწორად ფეხბურთელები. ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს, მოინდომეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რითი ვანუგეშოთ, წყლული როგორ მოვუშუშოთ? ძნელია კითხვაზე პასუხის გაცემა.

საცოდავია ჭანტურია, რადგან, გვინდა თუ არ გვინდა, ორივე გაშვებულ გოლში ლომის წილი მიუძღვის.

უკეთეს დღეში ვერც წინა ხაზის მოთამაშეები იქნებიან. ვერაფრით მოიშორეს დაძაბულობა. ფსიქოლოგიური ტვირთი ვერ ზიდეს. საერთოდ ქართველებს ერთი ზნე გვჭირს — ხშირად კარგად ვთამაშობთ და მაინც წაგებულები ვრჩებით. არცთუ იშვიათად მეტოქე ცუდად ორჯება და გვიგებს. სინამდვილეში კი ეიფორიით ვცხოვრობთ. იმიტომ ვაგებთ, რომ სუსტები ვართ.

ფეხბურთელი ეროვნულ ჩემპიონატში ბურთს ერთიორჯერ გააგორებს და თავი ვარსკვლავი ჰგონია. სწავლა სიკვდილამდეო, ეს სიტყვები ქართველს კი უთქვამს, მაგრამ არა ქართველებისთვის.

ფორტუნამ ზურგი გვაქციაო, უპირატესობა ჩვენ გვქონდაო, მეტოქემ კარის მიმართულებით სულ სამჯერ დაარტყაო, გვავიწყდება, რომ ფორტუნა მუდამ ძლიერებს უმაგრებს ზურგს.

ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში. ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილება და კლასი აკლიათ. ჩვენ საფეხბურთო ანბანს ახლა ჩავუჯექით, არადა, შეგვეძლო გაკვეთილები სხვებისთვის ჩაგვეტარებინა. სწორედ გამოცდილება და კლასი რომ არ გვეყო, იმიტომ გავუშვით ხელიდან ასეთი უპირატესობა. მაღალი კლასის ფეხბურთელები ამდენი საგოლე მომენტის უმრავლესობას აუცილებლად გამოიყენებდნენ. აუ, რა შორი ყოფილა ვარსკვლავობამდე, რამდენი გვკლებია.

ჩვენებურ ფეხბურთელთა უმრავლესობას უმნიშვნელო კრიტიკაც კი აღიზიანებს. რა უფლებითო, გვიკიჟინებენ. კრიტიკა საწყენი კი არ უნდა იყოს, არამედ დამაფიქრებელი. ოდნავ წინააღმდეგობას წავაწყდით და ფეხები აგვიკანკალდა. ტანში შიში ჩაგვიჯდა, რომელსაც ემოციურობა მიემატა და ქაოსიც ამან წარმოშვა.

ტორპედოელები ინდივიდუალურად ბელგიელებზე ათი თავით მაღლა იდგნენ, გრძნობდნენ ამ უპირატესობას და გამარჯვებაც გულით ეწადათ, მაგრამ თავად იყვნენ დარწმუნებულები, რომ ვერ მოიგებდნენ. რწმენა ჩვენებს უკვე მერვე წუთზე შეერყათ. მაშინ პირველად დაგვიცდა ფეხი.

საცოდაობა იყო ტორპედოელთა წვალების და ნაჯაფარის წყალში ჩაყრის ცქერა, მაგრამ რაოდენ საწყენადაც არ უნდა დაგვრჩეს, შედეგიც კანონზომიერი გახლდათ, რადგან ჩვენ გამოუცდელები და უკლასოები გამოვდექით.

ჩვენ „ვერდერის“ ქუთაისში ჩამოსვლაზე ვოცნებობდით. ძილის წინ სიზმრებს ვყვებოდით, გადახტომამდე ჰოპ დავიძახეთ. იმ „ვერდერს“ ველოდით, რომელიც ერთ კვირაში „ლომელის“ გაბრდღვნას დაიწყებს. დიდად არც ბელგიელები მოიკლავენ თავს, რადგან საფეხბურთო ევროპაში იციან თავიანთი ადგილი.

გუშინწინდელმა თამაშმა 16 ათასს კაცს მოუკლა გული. „ტორპედოს“ ამდენი გულშემატკივარი კარგა ხანია, არ ღირსებიათ ხელფასები, არ ყოფილა წვრთნისთვის აუცილებელი პირობები.

მართალია, ფეხბურთელები ფულზე წუწუნს ადრევე მორჩნენ, მაგრამ მერე ბიჭებისთვის საჭმელი ვერავინ იშოვა, რათა შეკრებაზე გადასულიყვნენ. სტადიონს ვაშენებთო, დიდი სამუშაოები ჩავატარეთო, გაიძახოდნენ. თურმე თამაშის ჩატარებას ემუქრებოდა საფრთხე. მუშები აპირებდნენ მინდორზე წამოწოლას, რომ დაგვწყვიტეთ ხალხი, ჯამაგირი მოგვეციო. 72 ათასია გადასახდელი. რატომღაც ამ ბოლო დროს ქუთაისის ხელმძღვანელები ყველაფრის „ნისიად“ შენებას მიეჩვივნენ.

ჯიქიას უნდა გაეთვალა ყველაფერი. მერიას აქამდე არ დაუხარჯავს და ახლა გაძაირეოდა?! კაცს ბელგიაში გუნდი მიგყავს, ამდენ ხარჯს ეწევი და თავი თბილისში გგონია. ხომ უნდა იცოდე, რომ შუაგულშ ევროპაში „ნისიად“, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „მერეზე“ ვერაფერს გააკეთებ.

ბელგიაში ლამის მთელი „ტორპედო“ დაატუსაღეს, სასტუმროს თუ ბაზის სარგებლობისთვის ფული გადაიხადეთო. მაინც ხომ ხარჯს, ეწევი, ამხელა გზას გამოკიდებიხარ და ნუთუ ერთი ოპერატორის წაყვანა გუნდს დაამძიმებდა. ფრუიძეს რომ პირველი თამაშის ვიდეოფირი ჰქონოდა, სასურველი ტაქტიკის არჩევა გაუდვილდებოდა.

მაშ, რატომ გვიკვირს დამარცხება? ამდენი პრობლემა გვქონია და გავფრინდებით?



საუკეთესონი: ტორპედოელი კვეტენაძე (№7) და ლომელელი ვინკენი

ბია. ისხდნენ ტრიბუნებზე თავგადაკლული გულშემატკივრები. ყვირილი და გამხნევება არ მოუკლიათ. ლამის გასავათდნენ, ძალა გამოელიათ. ბევრს გული გაუხდა ცუდად. ბოლო წუთამდე მაინც არც ერთს დაუტოვებია ტრიბუნა, იდგნენ გულმოკლულნი, რადგან სათაყვანებელ „ტორპედოს“ ვერაფრით შველოდნენ.

ფანებმა თავიანთი ვალი მოიხადეს, „ტორპედოსთვის“ შეძლებისდაგვარად ყველაფერი გაიღეს. სამწუხაროდ, „ტორპედომ“ — ვერა. ასეთი გულშემატკივარი ბევრ სიკეთეს იმსახურებს. ალალია მათზე ერთი ძლიერი გუნდი და „ტორპედოს“ ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ქუთაისელ ფანებს იმედი შეუნარჩუნონ, უკეთესი მომავლის იმედი.

ქუთათური გულშემატკივარი ფეხბურთისკენ შემობრუნდა. ადრე გამქრალმა ვნებამ გაიღვიძა, ხალხი სტდიონს დაუბრუნდა და ახლა მათთვის ხელის კვრა უდიდესი ცოდვა იქნება. ნუ დავტოვებთ ფანებს გულმოკლულს. მათ თავიანთი საწუხარიც ეყოფათ. ვაჩუქოთ მათ საკადრისი „ტორპედო“.

## ვინ არის დამნაშავე

ძალიანაც არ მინდა გუშინწინდელ ტრაგედიაზე ვინმეს მივუთითო, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ სიჩუმე უფრო დიდი დანაშაული იქნება. ჯობს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ტირილ-წუხილს შევეშვათ.

დაგვიდანაშაულებია კლუბის თავკაცები, რომლებიც თავის მხრივ ორად იყოფიან. „ჯიქიას გუნდს“ კლუბის აქციათა 60 პროცენტი უპყრია, ხოლო ქალაქის მერიას — 40.

ზოგი იტყვის, ამათი რა ბრალია, რა შუაში არიან, ფეხბურთს ხელმძღვანელები ხომ არ ითამაშებდნენო. ესენი შუაში კი არა, თავში არიან.

როცა ასეთ საქმეს ეჭიდები, გუნდს ყოველგვარი პირობა უნდა შეუქმნა. მწვრთნელ-ფეხბურთელს ნორმალური მუშაობის საშუალება უნდა მისცე. ტრაგედია თავიდანვე მოსალოდნელი იყო — არ დაურიბოდით?

და მთავარი, მწვრთნელი, სოსო ფრუიძე შეცდა. ხომ გაგიგონიათ, წაგებაში მუდამ მწვრთნელია დამნაშავეო. ფრუიძეს პირველ რიგში დუმილში ვდებთ ბრალს. როცა ურემი გადაბრუნდა, მწვრთნელმა მაშინ ამოიღო ხმა. რატომ აქამდე არ თქვა სახალხოდ, ფეხბურთელები სავარჯიშოდ დიდი ხვეწნა-მუდარის ფასად გამყავსო. ახლა გამოკრთა ფრუიძის ნათქვამში წავალო. იქნებ ადრე უნდა მოქცეულიყო მსგავსად, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი გულშემატკივარიც ამხედრებული ჰყავს.

ფრუიძე გუშინწინ აშკარად შეცდა. რადიკალურ ცვლილებებს გვიან მიმართა, მაშინ, როცა უსაშველო გვჭირდა.

საბოლოოდ ფრუიძემ მორიგი პრინციპული თამაში წააგო.

## ბუტენკომ დაგვთარსა

რუსი ანდრეი ბუტენკო მერამდენედ ჩამოვიდა საქართველოში ჩვენი გუნდების ევროპული თამაშების განსასჯელად. როგორც ადრე, ახლაც გამოვეთიშეთ ბრძოლას.

რა ბუტენკოს ბრალია, რომ წავაგეთ, მაგრამ ბევრი ახლაც თვლის, მას შეეძლო, ბელგიელთა მეორე გოლი არ ჩაეთვალაო. არა მგონია, ჭანტურიაზე ძალადობა ყოფილიყო, თორემ...

რუსი საქართველოში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა. მას აქ არაერთი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს... ჩვენდამი კეთილად არის განწყობილი, მაშ, რატომ უნდა ემსაჯა ბელგიელთა სასარგებლოდ? პირიქით, დარწმუნებული ვარ, ტორპედოელებს სტუმართა საჯარიმოში წაქცევა რომ მოეხერხებინათ, ბუტენკო დაუფიქრებლად პენალტსაც დანიშნავდა.

ალბათ, ბუტენკოსაც უკვირდა, რომ ვაგებდით, მაგრამ ჩვენს გასატანს თავად ხომ ვერ შეაგდებდა.

და მაინც, რაოდენ დიდი სიმპათიებიც არ უნდა გააჩნდეს ბუტენკოს ჩვენდამი, მისი მსაჯობა მაინც ცუდად დავცადეთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ვინც არ უნდა იყოს მანდ...

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა, 24 ივლისი, მხოლოდ ეს გახდა სალაპარაკო ქართულ საფეხბურთო სამყაროში. მართალია, ჯერ დაძაბულობას კულმინაციური წერტილისთვის არ მიუღწევია, მაგრამ ურთიერთობები ლამის სკანდალამდეა.

ყველას თავისი მოსაზრების სჯერა, ყველას თავისი კანდიდატურის გამარჯვება სურს. წინასაარჩევნო კამპანია ლამის ხელჩართულ ომში გადაიზარდოს. მაგრამ გასაკვირი არაფერია, ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ყველგან და ყველაფერში გამორჩეულები და უცნაურები.

ახლა ხშირად გაიგონებთ ქალაქში. 24 ივლისს, ყრილობაზე, სიკეთე არ მოხდებაო. ადრე უნახავი რა უნდა იყოს, მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ხომ არ დახოცავენ. საერთოდ, რას ველით ყრილობისგან?

არაფერს, აირჩევენ პრეზიდენტს და ქართული ფეხბურთი ისევ ნაცნობი გზით ივლის, რადგან ფედერაციის ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის.

ფედერაციას არაერთი მომხრე ჰყავდა. თითქოს მანდატების რაოდენობაც განსაზღვრული იყო. ამბობდნენ, 150 დელეგატი იქნებაო. ისინი ამდენი კანდიდატის გამოჩენას არ ელოდნენ. მაგრამ რაწამს შემოტევა იგრძნეს, მაშინვე დაფაცურდნენ.

ახლა ყველა საფეხბურთო რეგიონს თავისი ფეხბურთის ფედერაცია გააჩნია. რა თქმა უნდა, ახალარჩეული პრეზიდენტები იამანიძის ქუჩაზე მოკალათებული მოხელეების მხარდამჭერები არიან.

ზედმეტი 46 მანდატი ხუმრობა არ გეგონოთ. ამდენ ხმას მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა შეუძლია. 46 ახალი ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც მთავარ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ექვემდებარება. საიდან მოვა რეგიონალური ფედერაციების შესანახი ფული, როცა ლამის ეროვნული გუნდის შენახვა გაჭირდეს! პასუხი ნათელია, ყრილობის დამთავრების შემდეგ ეგ რეგიონალური ფედერაციები არავის დასჭირდება, ყველას მაშინვე დაავიწყდება და მომდევნო ყრილობამდე არც არავის გაახსენდება.

რატომ? იმიტომ რომ, ზოგიერთების საქმეს მსგავსი მოქმედება წინ წასწევს. ყრილობაზე გამარჯვება სულ ცოტა, ოთხი წლით ბატონობას გულისხმობს. შენ მეფე ხდები და ტახტზე დასკუპებული შენი ნებასურვილით მართავ საძირკველშერყეულ, მაგრამ მაინც ამოუწურავი საფეხბურთო რესურსებით მდიდარ ქართულ ფეხბურთს.

ეს ასე იქნება, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ სხვა გზა არ ჩანს. არსებული რეალობა კი სწორედ ამგვარ დასკვნებს გვკარნახობს. არ გჯერათ? სულ ცოტაც მოითმინეთ, მხოლოდ რამდენიმე დღე.

ჯერჯერობით ვერ ვღირსეთ ალექსანდრე ჩივაძის პრესკონფერენციას, ვერც სამოქმედო პროგრამას. ჩივაძე დუმს. სიჩუმე კი მუდამ დამაფიქრებელია.

გასაჭირში მყოფი ხალხის გადასაბირებლად ცოტაც საკმარისია. ფედერაციაში ეს კარგად უწყიან. გაიხსნა საწყობი, დარიგდა კლუბებში ფაქსები, ბურთები, სხვა სპორტული ინვენტარი. დაპირებებიც არ დავიწყებიათ, ეს ზღვაში წვეთია რაც გერგებათ, თუ ჭკუით იქნებით, მომავალში მეტს მიიღებთო.

განა მაშინ არ შეიძლებოდა გაჭირვებულთა დახმარება, როცა სეზონი იწყებოდა. მაშინაც სავსე იყო საწყობი, მაგრამ მაშინ ხომ ყრილობამდე კიდევ ერთი წელი რჩებოდა. ამ ხნის მანძილზე კი ქართველი ბევრ სიკეთეს დაივიწყებს. ესეც კარგად იციან ფედერაციაში. თუ ვცდები, მაშინ ჩვენს გაჭირვებულ კლუბებს რატომ არ ახსოვთ სხვების მიერ გაღებული დახმარებები. თუ დაფიქრდებიან, შეიძლება ძნელად გაახსენდეთ, რომ თურმე სხვასაც არაერთხელ გაუწვდია დახმარების ხელი წყალწაღებულთათვის, მაგრამ ეს უკვე დავიწყებას მისცემია, ყველაფერს ხომ დღევანდელი კვერცხი სჯობს.

ამ პრინციპით მოქმედებამ მიგვიყვანა დალუპვამდე და სანამ უფსკრულში არ გადავიჩეხებით, მანამ ხვალინდელ ქათამს არც ერთი ჩვენგანი არ დაელოდება.

ფედერაციას კი მართლაც ჭკვიანები მართავენ. ჭკვიანები საკუთარი საქმისთვის და სკამისთვის. ზუსტი მოქმედების წყალობით ბატონობდნენ 8 წელიწადი. ახლაც იმედი აქვთ, რომ მათი ჰეგემონია კიდევ 4 წლით გახანგრძლივდება, რადგან ყველაფერი წინასწარ გათვალეს, არსებულ სინამდვილეს შეუხამეს.

წინა ყრილობის პერიპეტიები მახსენდება. მაშინ პირველად და საკმაოდ მწვავედ გამოვიდა ავანსცენაზე ოპოზიცია. თითქოს ნოდარ ახალკაცსაც შეურყიეს ტახტი. ცხონებული ბოლომდე ჩუმად იჯდა, უსმენდა სხვათა გამოსვლებს და როცა გადამწყვეტმა ზარმა ჩამოკრა, დარბაზს მიმართა — ქართული ფეხბურთი აღორძინების გზაზეა, გვაღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მალე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმება, იქნება ბევრი სხვა სიკეთე, ფიფას და უეფას დახმარებით მალე ფრთებს გავშლით, გავილაღებთ და ყველაფერი ეს თქვენი დამსახურება გახლავთო.

მაშინდელმა დელეგატებმა იფიქრეს, ჩვენ ვყოფილვართ ქართული ფეხბურთის ფეხზე დამყენებლებიო, ნოდარ ახალკაცი კი ამაგს არ გვიკარგავსო და ერთხმად მხარი დაუჭირეს.

ძლიერი პიროვნება იყო ცხონებული. იცოდა, როდის და სად დაერტყა. ამიტომაც ულიარებიათ ქართული ფეხბურთის უგვირგვინო ხელმწიფედ.

ახლა რა ხდება, განსაკუთრებული არაფერი. ზოგი პროგრამას ხვეწს, ზოგი მანდატების არასწორ განაწილებაზე წუწუნებს, ფედერაცია კი ამ დროს ქლაქ-ქალაქ დაიარება და თავის საქმეს აკეთებს. სწორედ ამიტომ შეგვირაცხია ყრილობის ფავორიტად.

ზემოთ დაპირისპირება ვახსენეთ. აშკარა თუ ფარული ომი ფედერაციის ახლანდელ ხელმძღვანელებს და მერაბ ჟორდანიას „გუნდს“ შორის მიმდინარეობს. გვინდა, ამ ომზეც მოგახსენოთ ორი სიტყვით.

ადრე ფედერაცია და „დინამო“ უპრობლემოდ თანამშრომლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ უთანხმოება ჰქონდათ, არავინ უწყოდა, ბოლო დროს კი ერთმანეთს ვერ იტანენ.

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მერაბ ჟორდანიამ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. ფედერაციის ჩინოსნები აბობოქრდნენ და დაიწყო „დინამოს“ ძირის თხრა.

ადრე თითზე დახვეული „მრეტების“ საქმე ფედერაციამ განზე გადადო და საზოგადოებას ახალი, ვითომ სკანდალური ამბავი ამცნო, „დინამომ“ სახელმწიფოს ფული შეუჭამაო.

ვინ რა შეჭამა, არავინ იცის, მაგრამ თუ ეს „დინამო“ ამდენი „ცოდვის“ ჩამდენი იყო და ფედერაციამ ყველაფერი უწყოდა, რატომ ადრე არ ამოიღო ხმა. თუ ფედერაციას ახლაღა გაუჭირდა, რადგან გოგლიძესა და დათუნაშვილში საშიშ მეტოქეს ვერ ხედავს და ჟორდანიას სახით ძლიერი მოქიშპე რომ გამოუჩნდა, მერე მოხსნა გუდას თავი.

ჟორდანიას, გოგლიძეს და დათუნაშვილს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება არ გააჩნიათო — გაიძახიან ფედერაციელები. ამათ ვიცით, რისიც ეშინიათ. კარგა ხანია, გაიძახიან ფედერაციის საწინააღმდეგოდ „ბლოკი“ იკვრება. არჩევნებში ამდენი მოწინააღმდეგე იმიტომ გაგვიჩნდა, რომ გადამწყვეტ მომენტში ორმა ერთის სასარგებლოდ თავისი კანდიდატურა მოხსნასო. რახან ამბობენ და ეშინიათ, ესე იგი არის ასეთი ვარიანტიც.

რატომ არა აქვს ზემოჩამოთვლილ სამეულს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება, არავინ ამბობს. თავად თუ აქვს მორალური უფლება იმ ორგანიზაციას, რომლის დადგენილებათა 80 პროცენტი შეუსრულებელიაო — აცხადებენ მოწინააღმდეგენი.

პროფესიული ლიგა იმიტომ ვერ შევქმენით, რომ სახელმწიფოში ეკონომიკის დონე დაბალიაო. პროფესიული ლიგის შექმნა წინა ყრილობაზე დაიგეგმა, გაქანებული სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. დავკარგეთ აფხაზეთი, ოსეთი, გავნახევრდით. ნეტავ, რას ფიქრობდა მაშინ ფედერაცია, განა მაშინ ეკონომიკა სულ მზარდი ტემპით ვითარდებოდა?!

მერაბ ჟორდანიას მინუსიც ცნობილია — „მრეტების“ საქმე, პრობლემები გადასახადებთან დაკავშირებით. ჟორდანიასთვის დიდი უპირატესობა იქნებოდა, ამ საქმეებისთვის ადრევე მიეხედა. ახლა ყოველ ნაბიჯზე უკიჟინებენ და ამომრჩეველთა თვალში მისი იმიჯის დაკნინებას ცდილობენ.

ჟორდანია ოცნების გუნდს შეგვპირდაო. ფედერაციას რა, თუ ჟორდანიას ოცნების გუნდი ეყოლებოდა. რა და ნაწილობრივ დამსახურებად ჩაითვლიდა. რეიტინგი აუმაღლდებოდა. ვერც ჟორდანიამ შეასრულა დანაპირები, არ გვყავს ოცნების გუნდი. ოცნება კი არა, „ბოავიშტა“ — „ბრაგამ“ ევროტურნირები შეგვაზიზღა.

ფედერაციის ფილოსოფიას თუ მივყვებით, მაშინ როგორც ჟორდანიას არა აქვს მორალური უფლება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ისე არც თავად შეუძლია — დანაპირები ხომ არც ერთის შეუსრულებია.

გამოდის, ყრილობა ორი კანდიდატისთვის გოგლიძე — დათუნაშვილისთვის უნდა გავმართოთ და თუ ასეა, დაუთმონ გზა ამ ხალხს, მაგრამ გოგლიძემ პაიჭაძე მოხსნაო, დათუნაშვილი დროებას ჩამორჩაო, მაშინ ვინ, თქვე კაი ხალხო!

ყრილობა-არჩევნებს საკუთარ კეთილდღეობასთან ნუ გავაიგივებთ. პრეზიდენტად არჩევა ვინმეს „ბაირამობა“ თუ ჰგონია, ძლიერ შემცდარა. მარტო სკამი და მაღალ-დაბალი ხელფასები, სამსახურის არდაკარგვა თუ შოვნა ხომ არ გვიჭირს. ფეხბურთი გვიკვდება, სათაყვანებელი ქართული ფეხბურთი და ჯერაც შველას ითხოვს. მისი ფეხზე წამოყენება დღესაც შესაძლებელია, ესენი კი გაიძახიან, მორალური უფლებაო, დილეტანტიო, შეურაცხყოფაო, პრესა უსამართლოდ მომექცაო და ათასი სხვა. ეს ყველაფერი უკვე ყელში გაჩხერია ფეხბურთის ქომაგს.

ვინც არ უნდა მოვიდეს ქართული ფეხბურთის სათავეში, იმან უნდა იცოდეს, რომ დიდი ოფლისღვრა მოუწევს. იქ საქეიფოდ არავის ეპატიჟებიან და იოლ გასეირნებასაც ვერ ეღირსება. ხალხი ისე გაუთვითცნობიერებელი როდია, ადრე რომ იყო, გულშემატკივარი ყველაფერს მისხალ-მისხალ დათვლის და მერე მოსაკითხს მოეკითხება.

ვინც ქართულ ფეხბურთში გაბატონდება, ის მართალი კაცი უნდა იყოს, რომელიც პირველ შედეგებს უახლოეს თვეებში დაგვანახებს, მოშვებულ აღვირს მოქაჩავს და დისციპლინას გაამკაცრებს, საკუთარ ჯიბეზე მეტად საფეხბურთო ხაზინას გაუფრთხილდება.

ვინც არ უნდა იყო შენ, მდიდარი თუ ღარიბი, მტერი თუ მოყვარე- ფეხბურთის გადასარჩენად მოსულს, სიამოვნებით გაგიღებთ კარს.

**მამუკა ქვანტალიანი**

თბილისის სპორტის სასახლე ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ჩვენი სახელოვანი ფალავნის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის გივი კარტოზიას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მართალია, ტურნირის ორგანიზატორებმა 20 ქვეყნის მოჭიდავეები მოიწვიეს, მაგრამ თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ რუსეთის, ბელარუსის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებმა შეძლეს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ, რომელიც შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამზადებს ბიჭებს, ყველა კანდიდატს მისცა შესაძლებლობა, საჭიდაო ხალიჩაზე დაემტკიცებინათ თავისი ძალა

# შვედური მოდელი ქართველებისთვის


ხვიჩა ბიჩინაშვილი

საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდა სომხეთის ნაკრები, რომლის ლიდერიც, 1997 წლის ევროპის ჩემპიონი კარენ მნაცაკანიანია, ბელარუსმა ფალავნებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. აქვე უნდა გითხრათ, რომ სლავთა გუნდს დმანისში დაბადებული, წარსულში ცნობილი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი კამადორ მაჯიდოვი წვრთნის.

გუშინდელ ფინალურ შეხვედრებში მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლების მოწმე გავხდით. 54 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალს ერთურთს ქართველი ვაჟა ომანიძე და სომეხი არტურ სარქისიანი ეცილებოდნენ. ეს შეხვედრა ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო ფინალად უნდა ვაღიაროთ, ომანიძე ახალგაზრდა, გამოუცდელი სპორტსმენია, თუმც მისი პოტენცია გვაფიქრებინებს, რომ ამ ბიჭისგან დიდი მოჭიდავე დადგება. შეხვედრის დაწყება იყო და ვაჟამ ბრწყინვალე გდება შეასრულა, მსაჯებმაც სამ ქულად შეუფასეს ქართველს გარჯა, თუმცა სარქისიანი დანებებას არ აპირებდა და ბრწყინვალედაც შეუტია, ბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი სუფთა გამარჯვებაც იზეიმა.

განსაკუთრებულ ინტერესს 76 კგ წონის მოჭიდავეთა ასპარეზობა იწვევდა. სწორედ ამ წონაში გამარჯვებული მოიპოვებდა ტურნირის მთავარ პრიზს. გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს პირისპირ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ხვიჩა ბიჩინაშვილი და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული ბესო ზურაბიანი წარდგნენ. ბიჩინაშვილს არ გასჭირვებია ახალგაზრდა მეტოქის ძლევა და გივი კარტოზიას სახელობის თასის მფლობელი გახდა. გამარჯვებულის დაჯილდოება კი სახელოვანი ბაბუის შვილიშვილს გივი პაიჭაძეს ხვდა წილად.

69 კგ წონით კატეგორიაში ორი თანაბარი ძალის მოჭიდავე გვყავს, ტარიელ მელელაშვილიც და გიორგი ჯინჭველაშვილიც ნაკრების შემადგენლობაში ადგილის დაჯავშნას ეშურებიან. ორივე ფალავანმა ფინალამდე ადვილად გაიკვლია გზა, მათ ორთაბრძოლას დიდი ინტერესით ელოდა სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი. ხალიჩაზე მართლაც სანაქებო ჭიდაობა გაჩაღდა. ჯინჭველაშვილი თავდადებით იბრძოდა და დაიმსახურა კიდეც გამარჯვება. მის მიერ ლამაზად შესრულებულმა გდებამ აღტაცებაში მოიყვანა ბევრის მნახველი ვეტერანი მოჭიდავეები.

97 კგ და 130 კგ წონით კატეგორიებში ბადალი არ ჰყავდათ ბელარუს ფალავნებს. 97 კგ-ში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტმა სერგეი კირილჩუკმა ქართველ ზაზა სილაგაძეს სძლია, ხოლო ყველაზე მძიმეთა შორის საუკეთესო სერგეი სილიჩი იყო, მან ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონს მირიან გიორგაძეს შანსი არ დაუტოვა და დაამარცხა კიდეც.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს **ბეგი დარჩიას**:

— გივი კარტოზიას ხსოვნის ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო, ნაკრების კანდიდატთა უმეტესობამ იჭიდავა და ჩვენც კარგი შესაძლებლობა მოგვეცა საუკეთესოთა შესარჩევად. ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თითქმის ყველამ გაამართლა იმედი, განსაკუთრებული ინტერესით ტარიელ მელელაშვილსა და გიორგი ჯინჭველაშვილის ბრძოლას ვაკვირდებოდი, როგორც ნახეთ გიორგიმ შეძლო ტარიელის დამარცხება და 69 კგ-წონაში ნაკრების ღირსებას მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯინჭველაშვილი დაიცავს.

**— აკაკი ჩაჩუასგან მეტს ველოდით.**

— ჩაჩუა საუკეთესო სპორტულ ფორმაში რომ არაა, ეს ცხდაია. ამ ეტაპზე რაც შეძლო, ესეც კარგი შედეგია, ფინალამდე ყველას იოლად გაუსწორდა, თუმც ფინალში რუს ჟუკოვთან ვერაფერი გააწყო. მსოფლიოს პირველობამდე საკმაო დროა და, ვფიქრობ, აკაკი შეძლებს სათანადოდ მომზადებას.

**— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯამბულ ფუტკარაძემ.**

— ჯამბულმა მართლაც კარგად იჭიდავა და 58 კგ-ში ნაკრებში მას ვანდობთ ადგილს, იგი შრომისმოყვარე ბიჭია და დიდ გამარჯვებებსაც მალე იზეიმებს. აქვე გეტყვით ვაჟა ომანიძეზეც. მართალია, ფინალში დამარცხდა, მაგრამ შვედეთში მასაც წავიყვანთ და მჯერა, თავს არ შეირცხვენს.

**— მძიმე წონებში კარგად ვერ უნდა გვქონდეს საქმე.**

— ზაზა სილაგაძე და მირიან გიორგაძე ახალგაზრდები არიან და მათ ყველაფერი წინ აქვთ. მთავარია, თავდაუზოგავად ივარჯიშონ და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ.


არტურ სარქისიანი

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი თვე დარჩა, სად გაივლით ბოლო საწვრთნელ შეკრებას?**

— ჯერჯერობით თბილისში მოვემზადებით, შემდეგ კი ბორჯომს ვეწვევით და სწორედ იქ დავაკომპლექტებთ საბოლოოდ ნაკრებს.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა საქართველოს ნაკრებმა არავის დაუთმო. მეორენი სომხები იყვნენ, მესამე ადგილზე კი რუსები გავიდნენ. ტერნირს ქართველი მსაჯები ემსახურებოდნენ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ედიშერ მაჩაიძის მეთაურობით, ხოლო ფილადან იუგოსლაველი დარკო მილოშევიჩი კომისრობდა, რომელსაც ტურნირის ორგანიზატორებმა მადლობის ნიშნად ქართული ხანჯალი უსახსოვრეს. გამარჯვებულებს მედლებისა და პრიზების გარდა ფულადი ჯილდოებიც გადასცეს. ოქროსმედალოსნებს 500 ლარი ერგოთ, მეორეადგილოსნებს 300, ხოლო ბრინჯაოს მფლობელნი 200 ლარით დაკმაყოფილდნენ.

**სოსო ძოწორეიშვილი**


გიორგი ჯინჭველაშვილმა ტარიელ მელელაშვილი შებორკა და...

### ტექნიკური შედეგები

54 კგ
1. არტურ სარქისიანი (სომხეთი)
2. ვაჟა ომანიძე (საქართველო)
3. არმენ ტოვმასიანი (სომხეთი)

58 კგ
1. ჯამბულ ფუტკარაძე (საქართველო)
2. ბადრი ანთაძე (საქართველო)
3. კარენ მნაცაკანიანი (სომხეთი)

63
1. რომან ჟუკოვი (რუსეთი)
2. აკაკი ჩაჩუა (საქართველო)
3. შმაგი გოქაძე (საქართველო)

69 კგ
1. გიორგი ჯინჭველაშვილი (საქართველო)
2. ტარიელ მელელაშვილი (საქართველო)
3. ოლეგ ბლოხინი (რუსეთი)

76 კგ
1. ხვიჩა ბიჩინაშვილი (საქართველო)
2. ბესო ზურაბიანი (საქართველო)
3. გიორგი მშვენიერაძე (საქართველო)

85 კგ
1. ემზარ მახარაძე (საქართველო)
2. ლევონ გეგამიანი (სომხეთი)
3. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო)

97 კგ
1. სერგეი კირილჩუკი (ბელარუსი)
2. ზაზა სილაგაძე (საქართველო)
3. გენადი ჩხაიძე (საქართველო)

130 კგ
1. სერგეი სილიჩი (ბელარუსი)
2. მირიან გიორგაძე (საქართველო)
3. ხვიჩა ქარიძე (საქართველო)



TOUR DE FRANCE 1998

# აქ მხოლოდ მოგება ფასობს




11 ივლისს ველოსპორტის ყველაზე პრესტიჟულმა პირველობამ — ტურ დე ფრანსმა აილო სტარტი, ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის გამო ჩვეულზე ორიოდ კვირით გვიან. ტური საფრანგეთისა კი არის, მაგრამ ბოლოდროინდელი მოდის შესაბამისად მისი დასაწყისი სამფეროვანი ქვეყნის მიწაზე კი არა, საზღვარგარეთ, ირლანდიულ დუბლინში შედგა. სწორედ დუბლინიდან აითვლება ის 1850 კილომეტრი, 21 გუნდის 189 ველომრბოლმა რომ უნდა გალიოს უახლოესი სამი კვირის მანძილზე.

პროლოგი და პირველ-მეორე ეტაპი ირლანდიაში შედგება, 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე კი პელეტონი ბრეტანში გადაინაცვლებს. მთიანი გზების სპეციალისტთა გულდასაწყვეტად წლევანდელი ტური დაუსრულებელი აღმართებით არ გამოირჩევა — პირველი ნამდვილი გამოცდა მრბოლებს მხოლოდ მეათე ეტაპზე პირენეის მისადგომებთან ელით. 23 ივლისს ოფიციალური დასვენების დღეა, მერე იქნება მოგზაურობა ხმელთაშუა ზღვის ნაპირის გასწვრივ, ფიზიკურად ჯეროვნად მომზადებისთვის კი 27 ივლისიდან ნამდვილი ალპური ჯოჯოხეთი დაიწყება — მეთხუთმეტე ეტაპზე ტურის უმაღლესი წერტილი, ზღვის დონიდან 2646 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მთა გალიბიე იქნება გადასალახავი, მომდევნო დღეს პელოტონი 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელ ალბერვილს ეწვევა, მერე ისევ საზღვარგარეთ გადაინაცვლებს, ამჯერად შვეიცარიაში, 2 აგვისტოს კი მთელ ამ აურზაურსა და ტანჯვა-წამებას გადარჩენილები პარიზში დაასრულებენ ასპარეზობას.

წლევანდელ „ტურ დე ფრანსს" ერთი უცილობელი ფავორიტი ჰყავს — მისი შარშანდელი გამარჯვებული იან ულრიხი. რბოლა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ რომ დაწყებულიყო, 24 წლის გერმანელს პირველობა კი არა, მის ჩათავებაც ოცნებად ექნებოდა. საქმე იმაშია, რომ გასული სეზონის დასრულების აღსანიშნავმა წვეულებებმა და ხანგრძლივმა შვებულებამ ტკბილეულის მოყვარულ ულრიხს მოსაგონრად გვარიანი ღაბაბი და 15 კილოგრამი ზედმეტი წონა დაუტოვა.

აბა რაღა გასაკვირია, თუ გერმანელმა სეზონის დასაწყისი სასტიკად ჩააგდო, ფორმაში ჩასადგომად კი დიეტები, დამქანცველი ვარჯიში და თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. ულრიხის მდგომარეობა გერმანულმა პრესამაც არ დატოვა უყურადღებოდ. მრბოლი კრიტიკის ქარცეცხლშიც მოექცა, თუმცა მაისის ბოლოს „რუტ დე სიუდზე" დაკავებულმა მეოთხე ადგილმა და ამ ბოლო ხანებში შესამჩნევად შეთხელებულმა ღოყებმა ყველა ოპტიმისტურად განაწყო. „ჩემი წონა ამჟამად ერთი კილოთიც აღარ სჭარბობს შარშანდელს. დღითიდღე უკეთ ვგრძნობ თავს და იმედი მაქვს, ისევე ძლიერად ვიასპარეზებ, როგორც შარშან" — დაამედა თავისი ქომაგები ულრიხმა, რომელსაც ტურის ხუთგზის ჩემპიონებს, მიგელ ინდურაინსა და ედი მერქსს ადარებნენ და ასეთივე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „არ ვიცი, ხუთჯერ გავიმარჯვებ თუ არა, მაგრამ ერთ რამეში მაინც დარწმუნებული ვარ — ამ რბოლას კიდევ ერთხელ მოვიგებ, მე „ტურ დე ფრანსისთვის" ვარ შექმნილი" — განაცხადა გერმანელმა.

თუმცა ულრიხს ისიც ესმის, რომ უპირველესი რბოლის ერთხელ მოგებაც კი ძალიან რთული იქნება: „ჩემთვის სეზონის მთავარი მიზნის განხორციელებაში ხელის შეშლა ბევრ მრბოლს შეუძლია. მათ შორის გამოვყოფდი „ფესტინელებს" — ვირანკს, ლორან დიუფოს და ალექს ცულეს, „ბანესტოელ" აბრაჰამ ოლანოსა და ხოსე ხიმენესს. თითოეულ მათგანს ბევრის მიღწევა შეუძლია."

კონკურენტების მოსაძებლად ულრიხს შორს წასვლა სულაც არ სჭირდება — მისი თანაგუნდელი ხომ 1996 წლის ტურის გამარჯვებული ბიარნე რიისაა, ჯერ კიდევ შარშან „ტელეკომის" უპირობო ლიდერად რომ ითვლებოდა. თუმცა ნამდვილი ბრძოლა ულრიხს ალბათ მაინც ფრანგ რიშარ ვირანკთან მოუწევს, რომელმაც შარშანდელ ტურზე მეორე ადგილი დაიკავა, თანაც „მთების მეფის" კატეგორიით ზედიზედ მეოთხედაც იმარჯვა. „მეორე ადგილზე გასვლა არაფერს ნიშნავს, რადგან მომავალში მხოლოდ გამარჯვებულებს გაიხსენებენ და ისიც გამორჩეულებს" — მიაჩნია 28 წლის ვირანკს, რომელიც კიდევ ერთხელ შეეცდება, 1985 წლიდან მოყოლებული ტურის მომგები პირველი მასპინძელი გახდეს.

ვირანკს წლეულს ათასი თავისტკივილი აქვს გაჩენილი — გარდა იმისა, რომ გუნდში ლიდერის პოზიციისთვისაც კი ბრძოლა მოუხდება შვეიცარიელ ალექს ცულესთან, რამდენიმე დღის წინ „ფესტინაც" სკანდალში აღმოჩნდა გახვეული. საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე გუნდის ერთ-ერთი მუშაკი, ვირანკის პირადი დამხმარე ვილი ვოიტი დააკავეს, რომელსაც მანქანაში კარგა ბლომად აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩნდა, მათ შორის ერითროპეტინი, მრბოლებს ძალების აღდგენაში რომ ეხმარება.

მაშინვე წამოტივტივდა კიდევ ერთი ფაქტიც — წლის დასაწყისში „ფესტინელ" კრისტოფ მოროს დოპინგ-ტესტზე დადებითი შედეგები აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ გუნდის თავკაცობა თავის უდანაშაულობას ამტკიცებს და ვილაც-ვილაცებს ცილისწამებაში ბრალს იქითაც სდებს, უკვალოდ ეს ამბავი ნამდვილად არ ჩაივლის.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ 2 აგვისტოს და ვნახოთ, შეძლებს თუ არა ულრიხი გერმანელთათვის ფეხბურთის ნაკრების კრახთა და უიმბლდონზე შტეფი გრაფის წარუმატებელი ასპარეზობით მიყენებული იარების მოშუშებას.

**ავთანდილ სვანიძე**

### ტურ დე ფრანსის მარშრუტი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივლისი | დუბლინი. პროლოგი | 5,6 კმ |
| 12 ივლისი | დუბლინი — დუბლინი | 180,5 |
| 13 ივლისი | ენისკორთი — კორკი | 205,5 |
| 14 ივლისი | როსკოფი — ლორიანი | 169 |
| 15 ივლისი | პლუეი — შოლე | 252 |
| 16 ივლისი | შოლე —შატორუ | 228,5 |
| 17 ივლისი | ლა შატრი — ბრივ-ლა-გაიარდი | 204,5 |
| 18 ივლისი | მეირინიაკ ლ'ეგლიზი კორეზე. სიჩაუქის გამოცდა | 58 |
| 19 ივლისი | ბრივ — ლა-გაიარდი — მონტობანი | 190,5 |
| 20 ივლისი | მონტობანი — პო | 210 |
| 21 ივლისი | პო — ლუშონი | 196,5 |
| 22 ივლისი | ლუშონი — პლატო დე ბეი | 170 |
| 23 ივლისი | დასვენების დღე | |
| 24 ივლისი | ტარასკონ-სურ-არიეჟი კაპ დ'აგდი | 222 |
| 25 ივლისი | ფრონტინიან-ლა-პიერადი — კარპანტრა | 196 |
| 26 ივლისი | ვარლეასი — გრენობლი | 186,5 |
| 27 ივლისი | გრენობლი — ლე დეზალპი | 189 |
| 28 ივლისი | ვიზილი — ალბერვილი | 204 |
| 29 ივლისი | ალბერვილი — ელებენი | 149 |
| 30 ივლისი | ელებენი — ნოშატელი | 218,5 |
| 31 ივლისი | ლე შო-დე-ფონი — ოტენი | 242 |
| 1 აგვისტო | მონკო-ლე-მინი — ლე კრეზო. სიჩაუქის გამოცდა | 52 |
| 2 აგვისტო | მელენი — პარიზი | 147,5 |

# რუსეთის ცაში, მიწიერ ამბებზე



ირაკლი ლაბაძე

გურამ ფოლენჯაშვილის ფოტო

კავკასიონს მივუახლოვდით თუ არა, სტიუარდესამ საზეიმო ტონით გამოაცხადა, პატივცემულო მგზავრებო, ამ თვითმფრინავით თქვენთან ერთად მგზავრობს საქართველოს დელეგაცია, რომელიც მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე უნდა გამოვიდესო. მერე არანაკლებ ამაღლებული ტონით გვამცნო, ამ შეჯიბრების პროგრამით ასპარეზობა უკვე დაიწყეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც პირველ შეხვედრაში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს სძლიეს ანგარიშით ერთით ნოლიო.

და მორჩა, წერტილი! წერტილს ტაში მოჰყვა, ტაშს ირაკლი ლაბაძესთან ჩვენი საუბარი. სასაუბრო თემა კი ფრიად სასიამოვნო გვქონდა — უიმბლდონის ტურნირი, სადაც ირაკლიმ მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო.

ღმერთმანი, საოცარი იყო, როგორ დაავიწყდათ სტიუარდესასთვის ირაკლის წარმატების ამბის თქმა. თუ მას რაიმე უნდა ეხარებინა და მიელოცა მგზავრებისთვის, ეს სწორედ ირაკლი ლაბაძის მიღწევა იყო, რადგან იგი ქართული ჩოგბურთის ისტორიაში მეორეა, ვინც უიმბლდონის ფინალში იასპარეზა. პირველი, რა თქმა უნდა, ალექსანდრე მეტრეველი იყო. მერე რა, რომ ირაკლიმ წარმატება თვრამეტწლამდელთა ტურნირში მოიპოვა. იგი ჯერ ჩვიდმეტისაა! გაიზრდება, კაცთა ფინალშიც იასპარეზებს და გაიმარჯვებს.

სხვა ბევრ ტურნირშიც გაიმარჯვებს. ამგვარი ოცნება თავად გაგვანდო. ჩვენც გვჯერა, რომ ოცნება აუხდება.

მაგრამ ირაკლისთან საუბარი არც ამ საოცნებო თემით დაგვიწყია და არც საერთოდ ჩოგბურთით. ვსაუბრობდით კავკასიონზე და მასთან მებრძოლ ადამიანებზე, რადგან ამ დროს „კადრში“ სწორედ ჩვენი მთები მოჩანდა: ხერხივით დაკბილული, კლდოვანი ჭაუხები, გადაჯაჭვული ხდის ხეობის მწვერვალები და, რა თქმა უნდა, „ხევის პატარძალი“ — ქათქათა მყინვარწვერი. მალე ეს ყველაფერი კადრს მიღმა დარჩა, ილუმინატორში კი გამოჩნდა: ქვემოთ — უკიდეგანო სიბნელე, ზემოთ — მოკრიალებული, ლურჯზე ლურჯი ზეცა. მაგრამ ეს უკვე რუსეთის ცა იყო. თუმცა, ცა მანამდეც ასეთი წმინდა და ნათელი იყო. ცა ყველგან ერთნაირია, თვითმფრინავის ფრენის სიმაღლიდან დანახული. აი, დედამიწა კი ჭრელია თავისი სინათლით, სიბნელითა და მიწიერი ცხოვრებით.

ახლა კი ირაკლი ლაბაძესთან რუსეთის ცაში მიწიერ ამბებზე ვსაუბრობთ.

**— ირაკლი, თქვენი წარმატების ამბავი მეორე დღესვე ვაუწყეთ მკითხველს. მერე ერთი დღით თბილისში ჩამოხვედით. გვინდოდა, უიმბლდონის ამბებზე იქ გვესაუბრა, მაგრამ ვერსად მოგიხელთეთ, გვითხრეს, მამამ ექიმთან წაიყვანაო. რა მოხდა, საშიში ხომ არაფერია?**

— არა, საშიში არაფერი. მამა რომ დამშვიდებულიყო, სამედიცინო შემოწმება გავიარე. მითხრეს, კაჟივით ხარ, აბა, შენ იციო.

**— სამოსკოვოდ რა გეგმები გაქვთ?**

— სხვა რა გეგმა უნდა მქონდეს, ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლო.

**— მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე რამდენი გეგულებათ პოტენციურ მეტოქედ?**

— ასეთი ოთხი-ხუთი ჩოგბურთელია. მათ შევხვედრივარ და დამიმარცხებია კიდეც.

**— მათ შორის უიმბლდონის ტურნირზე თქვენი მძლეველი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერიც იქნება?**

— არა, ის 18-წლისაა. მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე ასეთი ასაკისანი არ დაიშვებიან.

**— ახლა, როცა ფედერერთან ფინალურ შეხვედრას იხსენებთ და აანალიზებთ, როგორ ფიქრობთ, ხელახლა თამაშის შემთხვევაში თუ მოიგებდით? მანამდე თუ შეხვედრიხართ მას? საერთოდ რა შეგიძლიათ გვითხრათ ფედერერზე?**

— მას პირველად შევხვდი. მისი თამაში მინახავს და შეიძლება ითქვას, სტაბილური ჩოგბურთელია. წლეულს 18-წლიანების ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხე იყო. ჩვენი შეხვედრის გამეორება რომ შეიძლებოდეს, ძნელი სათქმელია, ვინ მოიგებდა. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ უკეთ ვითამაშებდი. იქნებ მომეგო კიდეც.

**— მაინც, რა დასკვნამდე მიხვედით, რატომ წააგეთ?**

— ხშირად ვცდებოდი.

**— რატომ, მეტოქე გაიძულებდათ?**

— არა, უბრალოდ, მე ვცდებოდი. ასეა, ხან გამოგივა თამაში, ხან არა.

**— წეღან ფედერერს სტაბილურობას უქებდით. საკუთარ თავზე რას იტყვით?**

— ამ მხრივ ცოტას მოვიკოჭლებ.

**— ეს რით აიხსნება?**

— ამას ალბათ ტრავმები განაპირობებს. ერთი-ორჯერ ავადაც ვიყავი.

**— უიმბლდონისთვის საგანგებოდ მოემზადეთ?**

— როგორ გითხრათ, უიმბლდონის ტურნირზე კარგად გამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული გეგმით არ მივარჯიში. უიმბლდონამდე 18-წლამდე ჩოგბურთელთა ორ ტურნირში გავიმარჯვე. კიდევ ერთ ტურნირში ჩავები, ორი წრე გავიარე, მესამეში მკერდის კუნთი ამტკივდა და ბრძოლა შევწყვიტე, რათა საქმე არ გამერთულებინა. ექვსი დღე დავისვენე, სამი დღე კი საერთოდ არ მივარჯიშია, ფიზიოთერაპია გავიარე, კუნთზე ყინულებსაც ვიდებდი და ტკივილებმაც გამიარა.

**— უიმბლდონის ფინალში თამაში თქვენი სპორტული კარიერის მწვერვალად ხომ არ მიგაჩნიათ?**

— თუ არ ჩავთვლით 16-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონობას, უიმბლდონის ფინალისტობა ალბათ ყველაზე დიდი მიღწევაა. თუმცა, ალბათ კი არა, ასეცაა. რაც უნდა იყოს, უიმბლდონში 18-წლამდე ასაკის ჩოგბურთელებში გამოვდიოდი.

**— როცა უიმბლდონის მეორე სარბიელზე ფინალში თამაშობდით, სწორედ იმ დროს ცენტრალურ კორტზეც ასეთივე დონის ბრძოლა იყო. იქ თქვენი კერპი თუ იდეალი ჩოგბურთში სამპრასი ივანიშევიჩს ამარცხებდა. ჰოდა, თვალი თუ არა, გული მაინც იქით ხომ არ გქონდათ?**

— რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ. ისინი აღარც მახსოვდა. მთელი გული და სული ჩემს ბრძოლაში მქონდა ჩადებული. ისე, სამპრასის გამარჯვებამ კი გამახარა, მაგრამ ივანიშევიჩისა უფრო გამახარებდა.

**— ეგ როგორ, კერპი შეიცვალეთ?**

— არა, მაგრამ ივანიშევიჩი მესამედ თამაშობდა ფინალში და ვერცერთხელ ვერ გაიმარჯვა. ძალიან შემეცოდა.

**— ერთდროულად ორი ფინალის გამართვის გამო ალბათ თქვენ მაყურებელი არც გყავდათ.**

— არა, მაყურებელი საკმაოდ გვყავდა. საქმე ის იყო, რომ ჩვენ სამ სეტს ვთამაშობდით, კაცები კი, რა თქმა უნდა, ხუთს. ამიტომ მაყურებელი ჩვენი შეხვედრის დასრულების მერე ცენტრალურ კორტზე გადადიოდა. ორივე ფინალისტები კორტზე ერთად დაგვაჯილდოვეს. წარმატება თვით ინგლისის დედოფალმა მოგვილოცა.

**— რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ტრიბუნებს? ზოგ ჩოგბურთელს „შინაური კედლები“ დახმარების ნაცვლად ხელს უშლის, რადგან შინ თამაში, ნაცნობ-ახლობელთა წინაშე გამოსვლა უფრო ანერვიულებთ.**

— ჩემთვის სავსე ტრიბუნები შინაც და გარეთაც სტიმულის მომცემია. სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში დიდი ჩოგბურთი არ მითამაშია. დარწმუნებული ვარ, ახლობელთა წინაშე უკეთ ვითამაშებ.

**— ყველაზე მეტად რომელ ქალაქში გსიამოვნებთ თამაში?**

— კონკრეტულად ქალაქს ვერ დაგისახელებთ, ქვეყანა კი შემიძლია გითხრათ. ეს ინგლისია. რამდენჯერაც იქ გამოვედი, წარმატებასაც იმდენჯერ მივაღწიე. ევროპის ჩემპიონი იქ გავხდი, ტურნირებიც მოვიგე, ახლა უიმბლდონის ფინალი.

**— ბევრს მოგზაურობთ, თბილისში იშვიათად ხართ. აქაური მეგობრები ხომ არ შემოგყვლდნენ და იქაურნი მოგიმრავლდნენ?**

— არა, აქ მეგობრები არ დამიკარგავს. პირიქით. სკოლის მეგობრებთან ძველებურად ვარ. ეგ კი არა, საბავშო ბაღისდროინდელებთანაც ვმეგობრობ. უცხოეთშიც მყავს მეგობრები, მაგრამ ჩვენ უფრო გულთბილი მეგობრობა, დიდი მონატრება ვიცით.

**— როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე თბილისში, უცხოეთში?**

— როცა პროფესიულად უდგები საქმეს, დღის რეჟიმი ძალზე შეზღუდული გაქვს. ჩოგბურთს დიდი დრო და ენერგია მიაქვს, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მეგობრებთან გავრბივარ, ან ისინი მოდიან ჩემთან. მიყვარს მეგობართა წრეში ყოფნა.

**— ახლა, რაკი გავიგეთ, რაში გიშლით ხელს ჩოგბურთი, ბარემ ისიც გვითხარით, რას გაძლევთ იგი?**

— ჩოგბურთის თამაში უდიდესი სიამოვნებაა. იგი მანიჭებს სიხარულს, მაძლევს სახელს, კარგ მომავალს...

**— ზოგს უამბეთ, ზოგს შეახსენეთ თქვენი პირველი ნაბიჯები ჩოგბურთში.**

— 1987 წელს მამამ რენა აბჟანდაძესთან მიმაბარა. ექვსი წლისა ვიყავი და ამიტომ არ მახსოვს, მაგრამ მამაჩემისთვის უთქვამს, ამ ბიჭს დიდი მომავალი აქვსო. სწორედ მან მასწავლა ჩოგბურთის ანბანი, ისე დამფოფინებდა თავს, როგორც საკუთარ შვილს. მამა, მასთან შეთანხმებით, სპარინგ-პარტნიორობას მიწევდა. ბოლო ოთხი წელია, რაც მამა მავარჯიშებს. პირველ წარმატებას 1989 წელს მივაღწიე მინსკში, სადაც საბჭოთა კავშირის პირველობა მოვიგე...

**— თუ არ ვცდებით, მამათქვენმა ჩოგანი ხელში პირველად 32 წლისამ დაიკავა, პროფესიით კი, მგონი, იურისტია. ამიტომ საინტერესოა, როგორ მოახერხა ან ახლა როგორ ახერხებს თქვენს მწვრთნელობას?**

— უმჯობესია, ეგ მამაჩემს ჰკითხოთ. ისე კი, როცა ტურნირებზე ვარ, მამა მავარჯიშებს, გერმანიასა და ამერიკაში ყოფნისას კი სხვა მწვრთნელები მყავს.

ირაკლის მამის, გივი ლაბაძის სანახავად შორს წასვლა არ დამჭირვებია. იგი ჩვენს უკან, საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ლალი ზერეკიძესთან ერთად ზის და მუსაიფობს, მაგრამ საუბარს ვაწყვეტინებთ და ახლა მას ვეკითხებით თავისი მწვრთნელობის ამბავს.

— მართალია, ჩოგანი 32 წლამდე ხელში არ ამიღია, მაგრამ საერთოდ სპორტთან მწყრალად სულაც არ ვყოფილვარ — გვიამბობს გივი ლაბაძე — ფეხბურთელი ვიყავი, „ნორჩ დინამოელში“ კახი ასათიანთან ერთად ვთამაშობდი. უმამოდ ვიზრდებოდი, დედა კი ფეხბურთს ათვალწუნებით უყურებდა და ჩემი ამ საქმით გატაცება არ მოსწონდა. ამიტომ ფეხბურთს გამოვეთხოვე. ჩოგბურთის თამაში საოცრად სწრაფად ვისწავლე. ორ წელიწადში ყველა მოყვარულს მოვუგე, მერე აღარც ამ საქმის სერიოზულ მიმდევრებს ჩამოვრჩებოდი. ისინი ჩემი სწრაფი დაოსტატებით გაკვირვებულნი იყვნენ. ყველა მეუბნებოდა, ამ საქმისთვის ადრე რომ მოგეკიდა ხელი, შენგან დიდი ჩოგბურთელი დადგებოდაო. ამიტომ გადავწყვიტე, თუ ვაჟი მეყოლებოდა, უთუოდ ჩოგბურთელად გავზრდი-მეთქი. ირაკლი რომ რენა აბჟანდაძეს მივაბარე, არჩევანში არ შევმცდარვარ.

**— და მაინც, თქვენ, არაპროფესიონალს, რამ გაფიქრებინათ შვილის ვარჯიში?**

— როცა რენა ავად გახდა, მივიხედმოვიხედე და ვერავინ შევიგულე ისეთი, რომელიც ირაკლის ჩემზე უკეთ ავარჯიშებდა. ყველაფერი მივატოვე და მისი წვრთნა დავიწყე...

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მოსკოვიდან**



გურამ ფოლენჯაშვილის ფოტო

# ლაბაძე დაავიწყდათ თუ...

„მოსკოვში ჩამოსულ ჩოგბურთელთა შორის არიან უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი, ქართველი ირაკლი ლაბაძე და ამავე ტურნირის ნახევარფინალისტი კირილ ივანოვ-სმოლენსკი — გკითხულობთ აქ გავრცელებულ პრეს-რელიზში — საინტერესოა, რომ კირილი უიმბლდონის ნახევარფინალში სწორედ ირაკლისთან დამარცხდა. ახლა მას რევანშის შანსი აქვს.“

კირილს ასეთი შანსი მასპინძლებმა ლამის უბრძოლველად მისცეს. საქმე ისაა, რომ ვიღაც გამოშტერებულ მეკომპიუტერეს, ღმერთმა იცის, ნებსით თუ უნებლიედ, ირაკლის აკრედიტაციის კომპიუტერის მეხსიერებაში შეტანა გამორჩა. ჰოდა, ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელისთვის ლალი ზერეკიძისთვის ზედ შეჯიბრების დაწყებამდე ვიღაცას შემთხვევით რომ არ ეკითხა, ირაკლი ლაბაძე მოსკოვში რატომ არ ჩამოვიდაო, განმეორდებოდა რაღაც ატლანტისმაგვარი ისტორია, რომელიც დავით ხახალეიშვილს გადახდა. ახლა წარმოიდგინეთ ლალი ზერეკიძის ელდა! გულგახეთქილი აქეთ ეცა, იქით ეცა და, როგორც სჩვევია, საქმე უმალ მოაგვარა.

რაც შეეხება შანსებს, ირაკლი კირილს უიმბლდონამდეც რამდენჯერმე შეხვედრია და მოუგია. თუმცაღა, რუსი აქ მაინც პირველ ნომრად განთესეს, ირაკლი კი მეორეა, მაგრამ ჩვენებური რომ რუსზე ძლიერია, ეს ალბათ კიდევ ერთხელ დამტკიცდება მოსკოვში.

გუშინ კი ირაკლი ლაბაძემ იოლად სძლია მონაკოელ პიერ გამბარინის — 6:0, 6:1. მეორედ გაიმარჯვა ირაკლი უშანგიშვილმა. ამჯერად მან დაძაბულ შეხვედრაში ფილიპინელ ჯონი არკილას მოუგო (3:6, 7:6, 6:4).

**ავთანდილ გურასაშვილი მოსკოვიდან**

კალათბურთი

1998 МОСКВА

როცა ჩვენი კალათბურთელი ნაკრები [illegible] თავიანთ [illegible] დრაში ბრაზილიელებთან დამარცხდნენ, ნირწამხდარ ქომაგებს იმედი გადაეწურათ — ესპანელთა მძლეველები ვერა ვართ და საქმე მოთავებულიაო. მაგრამ საქმე რომ მანამდე არ არის მოთავებული, სანამ მართლაც არ მოთავდება, ეს ისევ ჩვენმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, როცა გუშინ ესპანელებს 78:76 (42:37) სძლიეს

# უნდა მოვიგოთ!

ქართველი კალათბურთელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ესპანელები მეორე ტაიმის მე-12 წუთამდე მდევრების როლში იყვნენ. მერე მათ ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს (57:57) და დაწინაურებაც, მაგრამ თამაშის სადავეები ბოლოს ისევ ჩვენმა ბიჭებმა იგდეს ხელთ.

საოცარია, ამ შეხვედრამდე რატომ იყვნენ სკეპტიკურად განწყობილნი ჩვენი გუნდის ქომაგნი, საიდან მოიტანეს ესპანელთა უძლეველობის ამბავი. მით უმეტეს, რომ გუნდის უფროსი მწვრთნელის ვაჟა მხეიძის თქმით, ჩვენებს მეტოქეებზე მოსკოვში ტურნირის დაწყებამდე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ და ისინი ამ თვალსაზრისით „ულრან ტყეში“ მიდიოდნენ.

სხვათა შორის, ქართველებს ბრაზილიელებთან პირველ შეხვედრაშიც შეეძლოთ გამარჯვება. მათ პირველი ტაიმი 4 ქულით მოიგეს. იყო მომენტი, როცა 10 ქულითაც დაწინაურდნენ. ამ დროს, ეტყობა, იფიქრეს, გამარჯვება ჩვენიაო, ყურადღება მოადუნეს და შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დაასრულეს. ბოლოს რითაც დამთავრდა ეს მატჩი, უკვე გაუწყეთ.

ახლა ჩვენებმა ქვეჯგუფიდან გასასვლელად უნდა სძლიონ ჰოლანდიელებს, რომლებსაც ესპანელებმა 34 ქულით მოუგეს. ალბათ, ქართველებიც შეძლებენ ჰოლანდიელთა ძლევას.

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მოსკოვიდან**

ავტორბოლა

# მე გავიმარჯვე?

გუშინ „სილვერსტოუნის“ ტრასაზე ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ეტაპი გაიმართა. სეზონში პირველად რბოლას კოკისპირული წვიმა დაერთო, რომელიც ერთი ხანობა ისე მძლავრობდა, ტრასაზე თითქმის არც არაფერი ჩანდა. როდესაც მოლიპულმა გზამ ორი მესამედის გალევის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით რამდენიმე მრბოლი, მათ შორის იმ დროისათვის მეორე ადგილზე მყოფი უილიამსელი დევიდ კულჰარდი შეიწირა, ორგანიზატორებმა თავი უსაფრთხოების მანქანით დაიზღვიეს და ტემპი დააგდეს. როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაზე მეტად „ფერარის“ პილოტ მიხაელ შუმახერს წაადგა, რომელმაც რბოლის განახლებისთანავე ტრასის გარეთ მეორედ გასეირნებულ ჩემპიონატის ლიდერს მიკა ჰაკინენს გადაასწრო და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მდევართან უპირატესობას თანდათან ზრდიდა და სიჩქარეს არც უკლებდა იმიტომ, რომ ყვითელი ალმების გადმოკიდებისას მანქანისთვის გაესწრო და 10 წამიანი ჯარიმა ჰქონდა მოსახდელი. მიხაელმა ამისთვის ბოქსებში შესვლა უკანასკნელ წრემდე გადადო და რაკილა ფინიშის ხაზიც იქვე გადაკვეთა, და არა ტრასაზე, მოგებული ყველას ჰაკინენი ეგონა. გახარებულმა ფინელმა ქომაგების მისალმება დაიწყო, შუმახერიც დაძმარებული მივიდა ასაწონად და მხოლოდ იქ გაჩერების შემდეგღა ახარა უმცროსმა ძმამ — რალფმა კარიერის 31-ე გამარჯვება. მესამე ადგილი კი გერმანელის თანაგუნდელ ედი ირვინს ერგო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რონალდოს საცოლე სუზანა ვერნერი, ტელე თუ ფოტოკამერების მუდმივი ობიექტი, ამჯერადაც ყურადღების ცენტრშია. ოღონდ თუ აქამდე ბრაზილიელთა წარმატებებით ერთთავად გახარებულს ვხედავდით ხოლმე, ამჟამად აშკარად შეწუხებული ვიხილეთ





ზეიმობს ყველა ფრანგი, ქვეყნის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ფრანგთა ამჟამინდელი თუ ოდინდელი კაპიტანი დიდიე დეშამპი და მიშელ პლატინი

### გოლები

6 — დავორ შუკერი (ხორვატია)

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), რონალდო (ბრაზილია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჯუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია), ბუდევინ ზენდენი (ჰოლანდია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## ფინალი არც რომის პაპმა გამოტოვა

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას გუშინ მილიარდობით გულშემატკივარმა ადევნა თვალი. მათ შორის ერთი ნამდვილად გამორჩეული გახლდათ: ბრაზილია — საფრანგეთის ბრძოლის ხილვით თვით რომის პაპი იოან პავლე დაინტერესდა და მთელი საღამოს განმავლობაში ცისფერი ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ვიცი, ყველას აინტერესებს, ფინალი პაპის ყურადღებასაც თუ მიიპყრობს. ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმა კარგად უწყიან, რომ უწმინდესი ახალგაზრობაში ფეხბურთელი იყო და სპორტის ამ სახეობას დიდ პატივს სცემს. ასე რომ, თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, იგი ფინალს არ გამოტოვებს — განაცხადა გუშინდელი მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე რომის პაპის წარმომადგენელმა ჟოაკინ ნავარო-ვალსმა.

ამ დღეებში იოანე პავლე II-მ დასვენება გადაწყვიტა და ორკვირიანი შვებულებით იტალიის ერთ-ერთ მაღალმთიან რაიონში, ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე განცალკევებულ რეზიდენციაში იმყოფება.

თუმცა არც ასეთ სიმაღლეზე ყოფნამ შეუშალა ხელი რელიგიის პირს, სატელევიზიო სიგნალი მიეღო. მთელი დედამიწის ზურგზე დაახლოებით ერთი მილიარდი კათოლიკეს სათაყვანებელი რომის პაპი უამრავი გულშემატკივრის მსგავსად ფინალური შეხვედრის ტრანსლაციას გაფაციცებით ადევნებდა თვალს და როგორც მისი წარმომადგენელი იუწყება, დიდად აღფრთოვანებულიც დარჩენილა.

საგულისხმოა, რომ წარმოშობით პოლონელი რომის პაპი სტუდენტობისას ფეხბურთით მართლაც იყო გატაცებული და ერთ-ერთ პოლონურ კლუბში მეკარედ თამაშობდა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29